თბილისის ღია უნივერსიტეტი

საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები

ზურაბ ბიწკინაშვილი

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 3 თავისგან და კვლევითი ნაწილისგან. ნაშრომის პირველ თავში განხილულია საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ზოგადი პრინციპები, თავისებურებები, მათი მახასიათებლები. შესწავლილია ეკონომიკური ინტეგრაციის ზოგადი არსი და მისი ძირითადი კონცეფციები, ასევე მიმოხილულია ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებების შესწავლას; სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავი ეთმობა საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებულ ეკონომიკურ თავისებურებებსა და მათ განზომილებებს; მიმოხილულია საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის თავისებურებები, ასევე განხილულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, ამავე თავში გაანალიზებულია ეკონომიკის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესის ეტაპები, მიღწევები და გამოწვევები პროგრესის გზაზე. მესამე თავი ეთმობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეული ზოგიერთი კონკრეტული მიმართულების უფრო დეტალურ და ღრმა მიმოხილვას, ყურადღება ეთმობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის ამოცანების შესრულების დეტალებს, მათ შორის შესწავლილია დერივატივების კანონი, როგორც ქართული ფინანსური ბაზრების განვითარების წინაპირობა და მნიშვნელოვანი ნაბიჯი მის გასავითარებლად, ნაშრომში განხილულია ევროკავშირის დახმარების კონკრეტული დეტალი საქართველოს საბანკო და საგადახდო მომსახურების სფეროს გაძლიერების მიმართულებით. ასევე, ნარომშის ფარგლებში დეტალურად არის განხილული დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამაგისტრო ნაშრომის

ფარგლებში ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გამოსაკვლევად, თუ რამდენად არის საზოგადოება ინფორმირებული საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების სიკეთეების შესახებ და აქვთ თუ არა საკუთარ თავზე გამოცდილეი კონკრეტული სარგებლიანობა. კვლევა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, თუმცა მათ შორის არიან როგორც ბიზნესის მფლობელები, ასევე სტუდენტები, ასაკობრივი სეგენტაცია საკმაოდ განხვავებულია. ნაშრომის ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ შესწავლილია სიახლეები და გარკვეული დეტალები ასოცირების შეთანხმებასთან, ინტეგრირების საკითხებთან დაკავშირებით, ნაშრომის დასკვნები და შედეგების შესაძლებელია გამოიყენოს საქართველოს ხელისუფლებამ საზოგადოების აზრისა და დამოკიდებულების სწორად აღსაქმელად, გასაანალიზებლად, ზოგადად აქართველოსა და ევროკავშირს შორის მიმდინარე ურთიერთობების პროგრესის შეფასების და კერძოდ მისი სიკეთეების გავლენისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებით საზოგადოების აზრის გამოსარკვევად.

სარჩევი

შესავალი

თავი 1 საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვა

1.1. ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და მისი ძირითადი კონცეფციები
1.2. ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები
1.3. ევროკავშირის თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებები

თავი 2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური

თავისებურებები

2.1. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის თავისებურებების მიმოხილვა

2.2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები ეკონომიკურ სფეროში

2.3 ეკონომიკის სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესი

თავი 3 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეული ზოგიერთი მიმართულები მიმოხილვა

3.1. საქართველო- ევროკავშირის დღის წესრიგის ამოცანების შესრულების მოკლე მიმოხილვა

3.2. დერივატივების კანონი - ქართული ფინანსური ბაზრების განვითარებისთვის

3.3. ევროკავშირის დახმარება საქართველოს საბანკო და საგადახდო მომსახურების სფეროს გაძლიერების მიმართულებით

3.4. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა - როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი

თავი 4. კვლევა - საზოგადოების ინფორმირებულობა, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების სიკეთეების შესახებ

4.1. შესავალი, კვლევის მიზნები და ამოცანები

4.2. კვლევის შედეგები

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

თემის აქტუალობა.

საქონლისა და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას იწვევს, ეს გულისხმობს ქვეყნებს შორის საწარმოო-სავაჭრო კავშირების არსებობას, საერთაშორისო ვაჭრობის, ასევე წარმოების ფაქტორების მოძრაობისას უამრავი ბარიერის აღმოფხვრას და დაბრკოლების მოხსნას. ყოველივე ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ინტეგრაციის პირობებში ქვეყნებს შორის, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და ეფექტიანი ხელშეკრულებები და შეთანხმებები. XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დაიწყო ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდა, შესაბამისად განვითარდა საერთაშორისო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, მავე დროს გაფართოვდა საქონლით და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობები. ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობია და ურთიერთზეგავლენის პროცესს, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული სამეურნეო მექნიზმებისა და ახელმწიფოს კანონმდებლობის განვითარებას სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების, ხელშეკრულებების საფუძველზე. ინტეგრაციის წარმატებით განვითარებისთვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა: ინტეგრირებული ქვეყნების საბაზრო სიმწიფის ხარისხის, ასევე ეკონომიკური განვითარების დონის თანაბრობა; ინტეგრირებული ქვეყნების ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები; საერთო მახასითებელები ეკონომიკური განვითარების, ფინანსების, ეკონომიკური რეგულირების და პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროებში; დემონსტრაციული ეფექტი; დომინოს ეფექტი. ინტეგრირებული გაერთიანებების ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნები აუცილებლად ექცევიან სირთულეების ქვეშ, გაერთიანების წევრ ქვეყნებთან ურთიერთობისას, შესაბამისად ისინიც ინტერესდებიან ინტეგრაციაში გაწევრიანებით. ინტეგრაციის მიზნები და ამოცანები თანამედროვე საერთაშორისო

ეკონომიკის განვითარების მიმართულებით მოიცავს რამდენიმე საკითხს: მასშტაბის ეკონომიის უპირატესობა; ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბება; სავაჭრო პოლიტიკის პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა; ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა; ეროვნულ მრეწველობაში ინოვაციური დარგების მხარდაჭერა; ინოვაციური სისტემებისა და მექანიზმების დანერგვა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატება ან წარუმატებლობა მისი მიზნებიდან ჩანს. სარგებლის მიღება არის ყოველთვის სახელმწიფოთა ნებისმიერი გაერთიანების მთავარი მიზანი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამათუიმ გაერთიანების სარგებელი შეიძლება აღმოჩნდეს არასათანადოდ ეკონომიკური ეფექტიანობის. ამავე დროს, ყველა ეკონომიკურ გაერთიანებას, ჩვეულებისამებრ, თან ახლავს დადებითი და უარყოფითი შედეგები, რაც ვაჭრობის ლიბერალიზაციის ან გაფართოებულ ბაზარზე მკაცრი კონკურენციის შედეგად ან სხვა მიზეზებით შეიძლება დაფიქსირდეს. ქვეყანა მუდმივად უნდა ახორციელებდეს ეკონომიკური ინტეგრაციის ყოველი ნაბიჯის, მისი შედეგების და მოსახლეობის კეთილდღეობაზე მათი ზეგავლენის ხარისხის ანალიზსა და შეფასებას. ქვეყნებმა შეიძლება გააგრძელონ ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, დადებითი, თუმცა ქვეყნისთვის უმნიშვნელო ეფექტიანობის ფონზე. ბევრი ქვეყნისთვის უფრო პრიორიტეტულია ეროვნული ღირებულებების საფუძველზე ეკონომიკური კავშირის შიგნით წინსვლა. კავშირის მიზნები ხშირად შეიძლება აღმოჩნდეს არაეფექტიანი გაერთიანების სხვა წევრებთან მჭიდრო ურთიერთობისა და კოოპერირების გარეშე. ხშირად ერთიანი მიზნების მისაღწევად, შესაბამისი წესების, პოლიტიკის გატარების გარეშე, დანახარჯებისა და სარგებლის არათანაბრად განაწილების ფონზე წევრ ქვეყნბს შორის, ან განსხვავებული ეფქტიანობის გამო, თვით ქვეყნის დაბალუნარიანობით, ან მოახლეობის დაბალი ინფორმირებულობის მიზეზით, რეალურად ფერხდება ინტეგრაციის მსვლელობა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის შესწავლა; საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილების შესწავლა და შეფასება; ეკონომიკის სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესის საკითხების განხილვა; საქართველო-ევროკავშირის შეთანხმების ფარგლებში გაწერილი ამოცანების შესრულების მიმოხილვა; ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ზოგიერთი რეფორმისა და სიახლის შესწავლა საქართველოს საფინანსო სექტორში; საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გამოკვლევა საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების სიკეთეების შესახებ.

დაახული მიზნის მისაღწევად მოხდა შემდეგი **ამოცანების** შესრულება: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის ეტაპების შესწავლა, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესწავლა, საფინანსო სექტორში განვითარებული ცვლილებების შესწავლა, ინტერნეტ სივრცეში არსებული კვლევების, სამეცნიერო ნაშრომების განხილვა, კვლევის ჩატარება საზოგადოებაში.

კვლევის მეთოდი სამეცნიერო და ინტერნეტ-რესურსების, უბლიკაციების განხილვა და დამუშავება, რაოდენობრივი კვლევის - ონლაინ გმოკითხვის ჩატარება შემთხვევითი შერჩევის პრინციპის გამოყენებით.

თავი 1 საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვა

1.1. ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და მისი ძირითადი კონცეფციები

თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს და ერთიანი გლობალური სისტემის შექმნას. ქვეყნებს შორის მზარდია ინტეგრირების სურვილი და გლობალურია მოთხოვნა-მიწოდება. თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების გაფართოება და თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება. ე

ევროკავშირი, ევროპული კავშირი, მოიცავს სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას. მე-20 საუკუნის ბოლომდე მისი სახელწოდება „ევროპული თანამეგობრობა“ იყო. ევროკავშირში დღეს 28 ქვეყანაა გაერთიანებული. ევროკავშირი წარმოადგენს ისეთ ეკონომიკურ ძალას, რომელიც მნიშვნელოვანი ფქტორიამსოფლიოს მასშტაბით, საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

თავად ტერმინი „ეკონომიკური ინტეგრაცია“ გულისხმობს ეკონომიკურ, სოციალურ ინტეგრირებას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სხვა ფორმებს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მის შინაარსში არის ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური ვაჭრობა, არის ეკონომიკური ინტეგრაციის ნიშანი. ამავე დროს, თავად ტერმინის მიზანია მოშალოს ინტეგრირებულ ეკონომიკებს შორის ყოველგვარი ხელოვნური ვაჭრობის ბარიერები, დაწესებული განსხვავებული ტარიფები და უფრო მეტად ღია გახდეს ქვეყნებს შორის ურთიერთობები. ეკონომიკური ინტეგრაცია გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს, რომელშიც მოისაზრება ნაწილობრივი ან სრულად გაუქმებული, სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები, სავაჭრო მიმდინარეობის პროცესში . თანამედროვე მსოფლიოში

ეკონომიკური ინტეგრირებული პროცესები ძალზედ სწრაფად ვითარდება, თვალნათლივ ჩანს ყველა სახელმწიფოს მისწრაფება, რაც შეძლება სწრაფად და სრულად ინტეგრირდნენ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში. ყოველივე ამას გნაპირობებს ის უპირატესობები, რაც ეკონომიკური ინტეგრაციით ენიჭებათ გლობალურ ინტეგრაციაში ჩართულ ქვეყნებს. ეს უპირატესობებია: ეროვნული ბაზრის განვიტარება-გაფართოება, მისი უსაფრთხოება და დაცულობა გარე საფრთხეებისაგან, გლობალურ ბაზრებზე შეღწევასა და მდგრადი ადგილის დამკვიდრება- შენარჩუნებაში განსაკუთრებული ხელისშწყობა. ეკონომიკური ინტეგრაცია ეტაპობრივი პროცესია, რომელიც გარკვეული კნონზომიერებებით ხასიათდება . ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციისთვის თანამედროვე პირობებში აუცილებელია მისი აქტიურობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება და მასზე დაყრდნობა. მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში ნებისმიერი რეგიონალური შეთანხმება თუ მათი სტრუქტურა ერთმ,ანეთისგან განსხვავებულია, თუმცა ყველას ერთი ძირითადი საფუძველი გააჩნია - მათი მთავარი მიზანია სავაჭრო ბარიერების შემცირება სახელმწიფოებს შორის. ეკონომიკურ ინტეგრაცია ითვალისწინებს დისკრიმინაციის გაუქმებას სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ ერთეულებს შორის. საერთაშორისო შეთანხმებები ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ განეკუთვნება საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროს, სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა კი ეკონომიკური ინტეგრაციის აქტს წარმოადგენს. ეკონომიკური ინტეგრაციის მთავარ მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, არის სახელმწიფოებს შორის დისკრიმინაციის აღმოფხვრა. ზოგადად, ეკონომიკური ინტეგრაცია ემსახურება რამდენიმე მიზანს:

- ეფექტიანი სტრუქტურული წარმოების მიღწევა, ეკონომიკური სარგებლის მიღება სხვადასხვა გზით: მასშტაბური ეკონომიკის ექსპლუატაცია, ფართო რეგიონალურ ბაზრებზე ფიქსირებული ხარჯების გავრცელება, უცხოური ინვესტიციებით ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა;

- პოლიტიკური კავშირების განმტკიცება და მიგრაციის ნაკადების მართვა;
- რეგიონალური სავაჭრო ბლოკების შექმნით მცირე ზომის ქვეყნებისთვის საერთაშორისო ბაზარზე წვდომა;
- წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების წარმართვა მრავალმხრივ სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში, მისივე ტემპის ზრდის დასაჩქარებლად;
- საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე მესამე ქვეყნის მიერ დივერსიის თავიდან აცილება;

ეკონომიკური ინტეგრაციის ბენეფიტები ითვალისწინებს შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორებს:

- ნებისიმიერი გაერთიანების წევრი ქვეყნების უმეტესობის საბაზრო ეკონომიკური განვითარების კუთხით თანაზომიერება. ცხადია, აქ თავისთავად დასაშებია გამონაკლისი შემთხვევები ზოგიერთი ქვეყნისთვის;
- მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტეგრირებული სახელმწიფოების გეოგრაფიული სიახლოვე.
- გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის დამყარებული ურთიერთობების ისტორია და მთი ისტორიული ეფექტიანობა. რა თქმა უნდა, თუ გაერთიანებულ სახელმწიფოებს გააჩნიათ ერთმანეთთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია, ტრადიციული ურტთიერთობების ფონზე ეს ფაქტორი გაცილებით მეტად ამარტივებს ინტეგრაციული პროცესების გამართულ და სრულყფილ წარმართვას;
- გაერთიანების წევრ ქვეყნებში მსგავსი ეკონომიკური სახის პრობლემები, სხვადასხვა სექტორში ინტეგრირებული გაერთიანებაში გაწევრიენებული ქვეყნებისათვის არის ის ფაქტორი, რაც გაცილებით უფრო მარტივად წარმოადგენს პრობლემების გადაჭრის გზების ანაკრებს.

ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებით, ის სახელმწიფოები, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და თავისუფალი ვაჭრობა, არისნ განვითარების ერთ რელსებზე და მათ გაუჭირდებათ დაამყარონ კონტაქტი ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ეკონომიკური განვითარების სხვა გზას ადგანან და სხვა ეკონომიკური კურსი აქვთ აღებული. იმ ქვეყნებში, სადაც დაინერგა საბაზრო ეკონომიკის მექანიზმები, გატარდა ეკონომიკური რეფორმები და ერთობლივად დაადგენენ საბაზრო ეკონომიკის გზას ისტორიულად, ასეთ ქვეყნებში დაფიქსირდა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების თანხვედრა, რამაც დააჩქარა ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი. ეს არის ახლო წარსულის რეალური მაგალითი, როდესაც რამდენიმე ქვეყანა აღმოჩნდა გარადამავალი ეკონომიკის პირობებში, დაიწყეს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების დანერგვა, ასეთ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარება სწორედ საბაზრო მექანიზმების მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

1.2. ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები

კოლექტიური ინტერესებისა და მთი თანხვედრის საუძველზე, ინტერესების გაერთიანების ფონზე შეიქმნა ევროკავშირი. „დღევანდელ ევროპის კავშირს საფუძველი 1952 წელს „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შექმნით ჩაეყარა (thr European Coal an Steel Community (ECSC)) . თანამედროვე ეტაპზე ევროპული ინტეგრაცია სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება, ქმნის უფროდაუფრო ხელსაყრელ გარემო პირობებს, მეტი ქვეყნის გაერთიანებისთვის, მათივე განვითარებისათვის და მათივე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯბესებისთვის. ეს ფაქტი თავის მხრივ, ეფუძნება ევროკავშირის ეკონომიკური სივრცის მრავალფეროვნებას.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროკავშირის ინტეგრაციაში, პოლიტიკური კავშირების ფარგლებში სატრანსპორტო კომუნიკაციების გამარტივება და განვითარება, მათი მასშტაბებისა და შესაძლებლობების გაფართოება. ეს არის წარმატების გარანტი, როგორც საერთაშორისო ეკონომიკისათვის, ასევე სოციალური, პოლიტიკური, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

„ევროკავშირის შესახებ შეთანხმებით (TEU) დგება სხვადასხვა ქვეყნის მიერ დელეგირებული იმ საერთო პოლიტიკის ანაკრებთა ნუსხა, რომლებიც ევროკავშირის, როგორც ერთიანი ორგანიზაციის სრულ ან ნაწილობრივ კომპეტენციებს წარმოადგენენ. ევროკავშირის სააგენტოში, სტანდარტიზაციის ორგანიზაცია, ასევე ევროკავშირის შიდა ინტეგრაცია ჯერ დასრულებამდე ძალიან შორსაა, ვინაიდან ფაქტობრივად სხვადასხვა პოლიტიკის სფეროში ცალკეულ კომპეტენციებს წევრი ქვეყნები ახორციელებნ დამოუკიდებლად .

ევროპული ინტეგრაცია განიხილება სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი მიმართულება მათგან არის ევროკავშირის სივრცეში მიმდინარე პროცედურების განხორციელება, მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება, ეკონომიკური კავშირები, სამართლებრივ ნორმები და სხვა. ევროპული ინტეგრაცია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: კანონის უზენაესობა, პლურალისტური დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა.

ევროპული ეკონომიკური ინტეგრაცია ყოველთვის გამომდინარეობს ეკონომიკური სავაჭრო შეთანხმებებიდან, რომლის სრულ პოლიტიკურ ინტეგრაციას აერთიანებს ერთი მთავრობის მიერ. არსებობს ძირითადი დონეები: თავისუფალი სავაჭრო ზონა - თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ეკონომიკური ინტეგრაციის ისეთი მექანიზმია, სადაც ქვეყნებს შორის მოხსნილია ვაჭრობის ბარიერები. ანუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონასთან. ამის ფონზე კი უფრო გაადვილდება სხვა ქვეყნის საზღვარზე შეღწევა და უცხოურ ბაზარზე ადგილის

დამკვიდრება. საბაჟო გაერთიანება ეს არის ეკონომიკური ინტეგრაციის ისეთი ფორმა, როდესაც ქვეყნებს შორის ყველა სახის საბაჟო ტარიფი გაუქმებულია. ასეთი სახის სივრცეს რა თქმა უნდა, გარკვეული სახის უპირატესობები გააჩნია: აღნიშნულ გაერთიანებაში გაწევრიანებული ქვეყნები უფრო ცნობადი ხდება სხვა ქვეყნებისთვის გლობალური მასშტაბით, იზრდება საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ინტერესი ასეთი ქვეყნებისადმი. ეკონომიკური კავშირი ან გაერთიანება წარმოადგენს ეკონომიკურ გაერთიანებას, ინტეგრაციის გარკვეულწილად ღრმა და ყოვლისმომცველ ფორმას, რომელსაც ახასიათებს ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო გადაადგილება, მათ შორის საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მიმოქცევა. ასევე გაერთიანებისთვის დამახასიათებელია წევრ ქვეყნებს შორის უნიფიცირებული და ფისკალური პოლიტიკა, საერთო ვალუტა, დამსაქმებლების მხრიდან მსგავსი და ანალოგიური ტემპებით, სტილით ანაზღაურება. პოლიტიკური კავშირი კი წარმოადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე ზემდგომი სტრუქტურაა. ამავე დროს წარმოადგენს საერთო ეკონომიკურ ინტეგრაციას. საუკეთესო მაგალითი ამ მიმართულებით მსოფლიოს მასშტაბით არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ გაერთიანებას მოიცავს.

რაც შეეხება ევროკავშირს, გაერთიანება მუდმივად ცდილობს გახდეს მსოფლიოში საუკეთესო პოლიტიკური გაერთიანება, როგორც პოლიტიკურ, სოციალურ, ისე ეკონომიკურ ჭრილში, ასევე იყოს მუდმივად მორგებული მომხმარებლის ინტერესებზე. ერთიანი სავაჭრო ბაზარი წარმოადგენს სწორედ ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმას, რომელსაც ახასიათებს: წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის სფეროში ბარიერების არარსებობა; საერთო მახასიათებლების მქონე საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა; წევრ ქვეყნებს შორის, მათთან წარმოებული პროდუქტის მოძრაობა. საერთო ბაზარი ასევე იძლევა საშუალებას, მოხდეს წევრ ქვეყნებს შორის რესურსების გადანაწილება. ყოველივე ეს საუკეთესოდ არის თავმოყრილი ევროკავშირის ბაზარზე, სადაც წარმატებით ფუნქციონირებს გლობალური ბაზარი. თუმცა რა თქმა

უნდა, ეს მდგომარეობა თავის მხრივ, მთელი რიგი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტეგრაციის და ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ერთიანი ბაზრის შექმნის მთავარი მიზანი ნებისმიერი გაერთიანების დროს, მათ შორის თავითავად, ევროკავშირის შემთხვევაშიც იყო და არის სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკების ურთიერთდაკავშირება, გაერთიანებული ძალებით სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა. ევროკავშირი გულისხმობს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავებას, სხვადასხვა ქვეყნის ბაზრების ეკონომიკურ ინტეგრაციას. საბოლოოდ, ევროკავშირი, ევროპის ეკონომიკური სივრცე თავისთავში გულისხმობს სრულყოფილ, მრავალმხრივ სავაჭრო ზონის ჩამოყალიბებას, რომლის საფუძველს და მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნებს შორის საქონლის ნებისმიერი სახის ვაჭრობაში არსებული ბარიერების შემსუბუქება. თანამედროვე ტენდენციები, რითაც მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება, აყალიბებს განსაკუთრებულ მიმართულებებს, ხელს უწყობს და განაპირობებს ქვეყნებს შორის ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ, მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას. აღნიშნული ტენდენციები მაღალი, ეფექტიანი და პერსპექტიული ეტაპის ელემენტებია მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისა და ურთიერთშეთანხმებული, განვითარებაზე ორიენტირებული ურთიერთობისთვის. ეს არის ეტაპი, რომელიც განიხილავს არამხოლოდ კონკრეტულ ეროვნულ კონვერგენციას, ანუ რომელიმე ნიშან-თვისების დამთხვევას ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოვლენებში, ინტეგრაციას, არამედ მოიცავს ასევე ეკონომიკური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის პრინციპებს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ინტეგრაცია სხვადასხვა ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთქმედებების მთელი პროცესების ნაკრებია, რაც იწვევს ეკონომიკური, საბაზრო მექანიზმების დაახლოებას, პოლიტიკური და სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების თანახმად და მათი კანონმდებლობების გათვალისწინებით.

ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაცია ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკებსა და მათი უნიფიკაციის ყველა სტრუქტურას შორის მყარდება ურთიერთთანამშრომლობა;

გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის საქონელი, მომსახურება, კაპიტალი და შრომითი ძალა გადაადგილდება ყოველგვარი ბარიერების გარეშე;

ყალიბდება ერთიანი ბაზარი, ადგილი აქვს სხვადასხვა ნიშნით ერთმანეთისგან განსხვავებული, ინდივიდუალური სავაჭრო ბაზრის ჰარმონიზებას, დაახლოებას და ინტეგრირებას;

უცხოელ პარტნიორებთან ეკონომიკური ურთიერთობებისას ყოველგვარი დისკრიმინაცია აღმოფხვრილია.

ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი ორმხრივია - რეგიონალური და გლობალური. საერთაშორისო ასპარეზზე ეკონომიკური ინტეგრირების ეტაპები გარკვეული ლოგიკური გზით, ყველაზე დაბალი საფეხურიდან ყველაზე მაღალ საფეხურამდე, ყალიბდება უამრავი განსხვავებული ტიპის კულტურული, პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების ცივილიზაციებში.

საბაზრო ინტეგრირება რომ უფრო ეფექტიანი და შედეგიანი იყოს, აუცილებელია გაქრეს ყველა ტიპის დაბრკოლება, რაც ხელს უშლის საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას, წარმოების თავისუფლებას. სრულყოფილი ინტეგრირება დამოკიდებულია გაერთიანებული ბაზრების პოლიტიკურ ნებაზე. ნეო-ლიბერალური კონცეფცია ინტერვეციის გზით ახერხებს ეროვნული ეკონომიკური ინტეგრაციის გაუმჯობესებას. იმისათვის, რომ მოხდეს სრულყოფილი ეკონომიკური ინტეგრაციის ჩამოყალიბება ქვეყნებს შორის, ამის დინამიკურ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს ძირითად საკითხებში მათ შორის პოლიტიკურ კონსესუსების მიღწევა, ზოგადად ეს აუცილებლობა უდგებათ ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებს. ამის მთავარი დანიშნულებაა კონკრეტული რეგიონების ინტერესთა

იზოლირება, რაც თავის მხრივ, რეგიონალური პოლიტიკისა და ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესები რამდენიმე ძირითადი შეთანხმების საფუძველზე იმართება, როგორიცაა:

ევროკავშირის (EU),

ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA),

საბაჟო კავშირის (Customs Union),

შენგენის (Schengen),

სავალუტო კავშირის (EMU) შესახებ შეთანხმებები.

ევროკაბშირთან დაკავშირებით, მის ინტეგრაციის პრინციპებთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს, თუმცა ერთიანი და საერთაშორისოდ აღიარებული მათ შორის არცერთი არ არის. ზოგიერთი მკვლევარი ამ პროცესს საგარეო ურთიერთობებით ხსნის. ევროკავშირი ყოველთვის განიხილებოდა დამოუკიდებელ სისტემად, სადაც ყურადღება მახვილდება სახელმწიფოების ინსტიტუციიურ თვისებებზე და საგანგებოდ შექმნილ გარემოში მიმდინარე პროცესებზე. ევროკავშირი, ყოველთვის ითვალისწინებს იმ ცვლილებებს, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოებისთვის. ამის ძირითად მიზეზად მიიჩნევა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა, რის საფუძველზეც აღბიშნულ ქვეყნებში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სექტორებში სტაბილურობა გაცილებით იოლად მიიღწევა. გარკვეული ექსპერტები ადასტურებენ, რომ ევროკავშირმა ამა თუ იმ სახელმწიფოს გამოცდილებებზე დაყრდნობით შეიძინა სხვადასხვა თვისებები, რითაც კიდევ უფრო მეტად განამტკიცა საკანონმდებლო მმართველობის სისტემა. თუმცა არსებობს ექსპერტთა საპირისპირო ჯგუფი, რომელიც ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება.

1.3. ევროკავშირის თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებები

ევროკავშირის როლი და მნიშვნელობა რეგიონალიზმისა განვითარებისა და ამავე დროს ორმხრივობის გლობალურ განვითარებაში, მისი ცვლილებები დროთა განმავლობაში უნიკალური ფენომენია. საბაჟო კავშირი, რომლის საწყისებიც ევროპული ეკონომიკური საზოგადოების ფესვებშია, ჯერ კიდევ 1968 დასაწყისში ჩამოყალიბდა, წარმოადგენს „ძველ რეგიონალიზმს“ და „ზედაპირულ ინტეგრაციას“. რომის ხელშეკრულება (1957 წ.) უძველესი რეგიონალური სავაჭრო ხელშკრულებაა,. ვაჭრობასა და ტარიფებზე ინიცირებული გენერალური შეთანხმება (GATT) დღესაც ძალაშია. ჯერ კიდევ 1980-იანი წლებში, დღევანდელ ევროპულ საზოგადოებაში გათვალისწინებული იყო „ახალი რეგიონალიზმის“ იდეა, „ერთიან საბაზრო პროგრამასთან“ ერთად. ევროპა რეგიონალური ძალა იყო 1958 დანაც კი. რეგიონალური პოლიტიკის კორექტირების პარალელურად შემოიღეს კანონი, რომელიც ხარისხისა და ფასის შეთანხმებით ვროკავშირს მაღალი ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით განავითარებდა. ევროკავშირს ჰყავს საკუთარი პოლიცია, ჯარი, სასამართლო. აქ სრული გარანტია არსებობს ქვეყნებს შორის კონფლიქტების სიმცირის, სტაბილური ურთიერთობებისა და დამიანთა უფლებების დაცვისათვის. ევროკავშირის ერთიანი სგარეო პოლიტიკა შიქმნა მაასტრიხის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით. რაც შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა ამსტერდამის 1999 წ, ნიცის 2003 წ და ლისაბონის 2009 წ შეთანხმებებით.

საერთო საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს:

დაიცვას ევროკავშირის ღირებულებები, მისი ფუნდამენტური ინტერესები,

დაიცვას უსაფრთხოება, ავტონომიურობა, მთლიანობა;

დაიცვას დემოკრატიული კონსოლიდირები პრინციპი, მხარდაჭერა, გაატაროს კანონის უზენაესობი პრინციპი;

ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართლის პრინციპები;

შეინარჩუნოს მშვიდობა, თავიდან აიცილოს კონფლიქტები;

გააძლიეროს საერთაშორისო უსაფრთხოება;

დახმარება გაუწიოს მოსახლეობას, სახელმწიფოებს, რეგიონებს სტიქიურ უბედურებსებთან ბრძოლაში, მათი ბუნებრივი თუ ხელოვნური გზით გამოწვევის შემთხვევაში.[1].

ევროკავშირის ბაზარზე მიწოდებული პროდუქციისთვის მოქმედებს მკაცრი კანონმდებლობა, სტანდარტები, რეგულაციები, რომლებიც მოითხოვს, რომ უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა იყოს გათვალისიწნებული ნებისმიერ შემთხვევაში. ამავე დროს, იგულისხმება, რომ პროდუქტი, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს, ბაზარზე დაიშვება ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ერთიან ბაზარზე ფუნქციონირებს მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორიცაა:

ბაზარზე ზედამხედველობა - პასუხისმგებლობა, რომ პროდუქტმა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ მომხმარებლებს ბაზარზე. ამ კომპონენტში იგულისხმება გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმები, ასევე სამართლიანი ვაჭრობის ხელშეწყობა.

სტანდარტი - წარმოადგენს პროცედურას, რაც მთლიანად განსაზღვრავს კონკრეტული პროდუქტის ყველა თვისებას, ხარისხს, წარმოებას და ა.შ. სტანდარტიზების პროცესი ტარდება პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

აკრედიტაცია - ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს ის ხელშეწყობა, რომ სტრუქტურებმა, რომლებიც შეფასებას ახორციელებენ, თავისუფლად და ზედმეტი პრობლემების, წინააღმდეგობების და დროის დაკარგვის გარეშე შეძლონ შესაბამისი

[1] https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters

პროცედურების გავლა. ამ პროცესის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება ნდობის ფაქტორი, რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გლობალურ ბაზარზე და მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე, ძალიან აღიარებული და ფასეული ელემენტია;

შესაბამისობის ინდექსი - არის პროცედურაა, რომლის ფარგლებშიც ხდება ყველა იმ სტანდარტის დაკმაყოფილები დამადასტურებელი ფაქტისა და დოკუმენტის ასახვა, ყველა იმ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცება, რასაც ევროკავშირის ბაზარი ითხოვს. აღნიშნული პროცედურა უნდა იყოს სრულყოფილი, სრულად დატვირთული ისე, რომ პროდუქტმა აჩვენოს ნამდვილი შესაბამისობა და დაარწმუნოს შემსყიდველი მის უსაფრთხოებაში.

CE მარკირება - CE მარკირება არის ელემენტი, რომელიც დაინერგა ევროპის ტექნიკური ჰარმონიზაციის კანონის თანახმად. მარკირება სავალდებულოა იმ პროდუქტებისთვის, რომელთაც ეხებათ ერთი ან რამდენიმე ევრო-დირექტივა, რაც აღნიშნული პროდუქტის თავისუფალ გადაადგილებას უზრუნველყოფს ევროკავშირის მასშტაბით.

თავი 2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური თავისებურებები

2.1. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის თავისებურებების მიმოხილვა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2010 წლიდან მიმიდინარეობდა მოლაპარაკებები შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც 2013 წელს დასრულდა გარკვეული კონსესუსების მიღწევით, წარმატებით. 2016 წლის 1 ივლისს აღნიშნული შეთანხმებების გათვალისწინებით ძალაში შევიდა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე ევროკავშირი აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და მის არჩევანს. საქართველოსთვისაც და ევროკავშირისთვისაც აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს გზას მომავალში უფრო ღრმა ურთიერთობების განვითარებისა და პროგრესირებისთვის.

ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკაშირს შორის წარმოადგენს მეტად ფართო, მჭიდრო და მკაფიო, ღია ურთიერთობის ინსტიტუციურ ჩარჩოს. ასოცირების შეთანხმებით დამყარებულ კავშირს არსებითი მნიშვნელობა გაჩნია ნებიმიერი ქვეყნისთვის, მითუმეტეს ისეთი მცირე სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა. ე გამომდინარეობს იმ პრივილეგიებიდან და უპირატესობებიდა, რასაც მსგავსი შეთანხმებები ანიჭებენ მის წევრ ქვეყნებს. ასეთ უპირატესობებს წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა, სავაჭრო პოლიტიკის საერთაშორისო დონეზე გაფართოება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ისტორიულად ფიქსირდება დადებითი დამოკიდებულება ევროკავშირის მხრიდან. ყოველთვის არსებობდა იმის საფუძველი, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები თანდათან, ეტაპებად განვითარებულიყო და აღნიშნულ

პარტნიორობას შეეძინა გაცილებით მეტი და ფართო სპექტრი. ევროკავშირი მუდმივად აღიარებდა საქართველოს ევროპულ მიმართულებებს, ეს განაპირობებდა დიდ მოლოდინს, რომ საქართველო ნამდვილად მიიღებდა თანხმობას, გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რაც საბოლოოდ წარმოადგენდა დიდ სტიმულს, საქართველოსთვის, მთელი ძალისხმევა ჩაედო ევროგაერთიანების წევრობის მიღწევაში.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც გათვლისწინებულია ევროკავშირის მგავს შეთანხმებებში, არის ის რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, მონაწილე მხარეები ერთმანეთთან ურთიერთობებს აღრმავებენ, ზოგადი დემოკრატიული ფასეულობებისა და ყოველი წევრი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად. შეთანხმების მიხედვით, მხარეები სრულ მხარდაჭერას აცხადებენ, დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის, ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ასევე იცავენ გლობალურად, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმწიფოების საზღვრების დაცვისა და უსაფრთხოების პრინციპებს. ევროკავშირა აღებული აქვს ვალდებულება, საქართველოს გამოუცხადოს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით დიდი მხარდაჭერა, დაეხმაროს მათი სრულად აღმოფხვრის კუთხით. ეს ფაქტორი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების პრიორიტეტს გულისხმობს, პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის მიზნით.

ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია ხელშეწობა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით, მრავალფეროვანი და ფართო ასპექტის მქონე თანამშრომლობის კუთხით. ეს ეხება იმ სფეროებს, სადაც იკვეთება საქართველოსა და ევროკავშირის საერთო ინტერესები, როგორიცაა: განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, მაღალი დონის მმართველობითი ფორმა, ინტეგრირებული ვაჭრობის, მდგრადი

განვითარება, მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა, ინსტიტუციების სრულყოფა, კორუფციასთან ბრძოლა.

თუმცა, DCFTA-ს შეთანხმების უმთავრესი მიზანი ფართო ეკონომიკურ ინტეგრაციას ითვალისწინებს, რაც ორივე მხარისთვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას.

ასოცირების შეთანხმების ასევე ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა, ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე წევრმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ნებისმიერი საქმიანობა მოგების მისაღებად უნდა ხდებოდეს გარემოს დაცვის პრინციპების დაცვით.

მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ გაძლიერდეს ენერგორესურსების მიწოდების, მისი თანმხლები პროცესის უსაფრთხოება. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმის „სამხრეთ დერეფნის“ უფრო მეტად განვითარების გზითა და მისი უპირატესი ხელშეწყობით. ასევე, სხვა, მსგავსი პროექტების დანერგვის, განხორციელების, გაფართოების მიმართულებით მათი მეტი წახალისების გზით. ისეთ მცირე ზომის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ყოველივე ეს აუცილებლად დადებითად აისახება ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

ასოცირების ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენერგეტიკის სფეროს განვითარებას, ამ მიმართულებით დამყარებულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს. ამ ფაქტორში მოიაზრება განახლებადი ენერგო რესურსების ათვისება-გამოყენება, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენება, მათი მრავალფეროვნების ზრდა, მეტი პოპულარიზაცია და ხელშეწყობა ამ მიმართულებით მომუშავე ბიზნეს-სექტორისათვის და ა.შ.

ასოცირების შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულებაში გაწერილი ამოცანების და ვალდებულებების შესრულება ფაქტობრივად ქვეყანაში შექმნის სრულიად ახალ

კლიმატს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობისათვის, ვაჭრობის განვითარების, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ხარისხიანი პროდუქტის კონკურენტულ სტიმულირებას, საბოლოოდ კი ხელს შეუწყობს საქართველოს მოდერნიაზაციასა და ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციას. საქართველომ აუცილებლად უნდა განავითროს საკუთარი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, რისთვისაც ევროკავშირი სათანადოდ მიმართავს ფინანსურ და ეკონომიკურ მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს.

ასოცირების ხელშეკრულების ეკონომიკურ საყრდენს წარმოადგენს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის მიმართულება, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა ითვალისწინებს საქართველოს მხრიდან ევროკავშირის კანონმდებლობასთან სულ უფრო მეტად, პროგრესირებად დაახლოებას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო, ამავე დროს ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება ასოცირების ხელშეკრულების, ასოცირების სრული პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მონაწილე მხარეები, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნით აყალიბებენ ფართო ლიბერალიზაციისათვის ხელსყრელ პირობებს. უამრავი დასახელების საქონელზე, მომსახურებაზე ლიბერალური დამოკიდებულების დადასტურება ხდება საბაჟო გადასახადების ნაწილობრივი ან სრული გაუქმებით, სხვაგვარად, სატარიფო ბარიერების გამარტივებით.

ასოცირების შეთანხმების მე-4 კარის მიხედვით, გათვალისწინებულია ისეთი სახის ჩანაწერები, რომლებიც პარტნიორი ქვეყნებისგან მოითხოვენ, ევროკავშირის შიდა

ბაზრის შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს შექმნას[2] . ღრმა და ყოვლისმომცველილი თავისუფალი ვაჭრობის არეალი (ასოცირების ხელშეკრულების მე-4 თავი) შეიცავს ორ ძირითად კომპონენტს:

- საპასუხო ვალდებულებების აღება ბაზარზე წვდომასთან დაკავშირებით, ორმხრივ ვაჭრობაში იმპორტ-ექსპორტის ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრის საუალებით
- საქართველოს კანონმდებლობის სულ უფრო პროგრესირებადი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, სხვადასხვა სექტორში. ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული სფეროები განსაკუთრებით საჭიროებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დროულად ჰარმონიზებას, როგორიცაა ევროკავშირის ტექნიკური რეგლამენტი, სანიტარული კონტორილი, ფიტოსანიტარული ნორმების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ამ გზით უამრავი პოტენციალის ამოქმედებას.

შიდა ბაზარი, ბაზრის ზოგადი პოლიტიკა - ეს არის განსაკუთრებული მოთხოვნების სფერო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიმართ საერთო სავაჭრო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნულ პოლიტიკაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ევროკავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. პოლიტიკა ტრანსასაზღვრო ნაკადებთან ერთად მოიცავს მომსახურების გაცვლას, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებას.

ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა მოიცავს ამავე დროს კროსსექტორულ საკითხებს, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, არამატერიელური აქტივებს საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ მიმართულებით, საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა ითვალისწინებს ევროკავშირის გამოცდილებას საკუთარ ბაზარზე.

საერთო საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ხორციელდება სამი მიმართულებით:

[2] გოგილაშვილი კ. - საქართველო და ევროკავშირი (ღრმა დაგოგილაშვილი კ. - საქართველო და ევროკავშირი (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე - თბილისი, 2017

- ცალმხრივი
- ორმხრივი
- მრავალმხრივი

სამივე მიმართლება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. კონკრეტულად, მრავალმხრივი მიმართულება განსაზღვრავს სავაჭრო პოლიტიკის თავისუფლების ხარისხს ცალმხრივ და ორმხრივ გზაზე. ცალმხრივი სავაჭრო პოლიტიკის ელემენტები იზღუდება ორმხრივ გზაზე, სადაც ევროკავშირის სამართალწარმოების პუნქტია გათვალისწინებული. სამივე მიმართულება ერთობლივად სავაჭრო პოლიტიკის ვერტიკალურ განზომილებას წარმოადგენს, ეს არის ე.წ. „კონკურენტული ლიბერალიზაცია“, რაც გულიხმობს კონკურენციას განსხვავებული ლიბერალიზაციის და მარეგულირებელ სტრატეგიებს შორის, ერთიდაიგივე იურისდიქციის ფარგლებში.

DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მთავარ მიზანს დღესაც საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს, რაც საქართველოს ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს. მთავარია, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს და მოკლევადიან ან საშუალოვადიან პერიოდში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების გზით, გაიზარდოს ორმხრივი ვაჭრობა, განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზარზე საქართველოში წარმოებული პროდუქტების ექსპორტის ზრდის სფუძველზე გაიზარდოს ქვეყანაში ევროპული ვალუტის შემოდინება.

2.2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები ეკონომიკურ სფეროში

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს არის განსაკუთრებული, წინგადადგმული ნაბიჯი

ქვეყნისთვის, რამაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ინტეგრაციას, მჭიდრო დ მკაფიო პოლიტიკურ კავშირს ევროკავშირთან. ევროკავშირისთვის პრიორიტეტია უსაფრთხოება და მდგრადი, სტაბილური ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, შესაბამისად ევროკავშირი მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა თვალნათელია. ასოცირების ხელშეკრულება მოიცავს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებს, შეთანხმების მთავარი ამოცანაა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება, დაახლოება თანდათან, ეტაპობრივად, შეთანხმებულ ვადებში. ასოცირების ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, სადაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტებია მოცემული. ასევე მათთან ჰარმონიზების ვადები საქრთველოს კანონმდებლობისათვის. საქართველო, მისი მიზნების მიღწევას უპირობოდ მოახერხებს, თუ გიზიარებს ევროკავშირის გამოცდილებას და ამავე დროს მოახდენს მათთან ადაპტირებას ეროვნული თავისებურებების, სპეციფიკის გათვალისწინებით. თავად ევროკავშირი კი იღებს ვალდებულებას, ცალკეული მიმართულებებით გარკვეული რეფორმების განხორციელებაში დაეხმაროს საქართველოს ფინანსური, ტექნიკური, ექსპერტული და სხვა კუთხით. ამავე დროს, ევროინტეგრაციისაკენ მიმართული რეფორმების განსახორციელებლად, საქართველო შეძლებს შეღავათიანი სესხების მიღებას ევროპის საინვესტიციო ბანკიდან. ასევე შეღავათიანი სესხის მიღები საშუალება აქვს საქართველოს სხვა, მნიშვნელოვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან.

ასოცირების შეთანხმება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა;

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში;

მართმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება;

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები;

ეკონომიკური თანამშრომლობა;

სექტორული თანამშრომლობა;

ფინანსური დახმარება,

თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა;

ინსტიტუციური საკითხები[3].

ეს არის ის ძირითადი ელემენტები, რაც წარმოდგენილია ასოცირების ხელშეკრულებაში.

როგორც აღვნიშნეთ, შეთანხმებაში მოცემულია სატარიფო და არასატარიფო ბარიერები. DCFTA-ს მოლაპარაკებების დროს, ზოგადი ვალდებულებების შეუზღუდავად, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრირების მიღწევისთვის საქართველომ გამოიყენა ჩამორთმევის სტრატეგია გარკვეულ სფეროებში, ასეთია: ტექნიკური რეგლამენტი, სახელმწიფო შესყიდვები და მომსახურება, სანიტარული, ფიტოსანიტარული ზომები.

ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების კუთხით, საქართველომ აიღო ვალდებულება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება მოეხდინა ჰორიზონტალური ხარისხის ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ახალი და გლობალური მიდგომების შემუშავების საფუძვლზე. ამ სფეროში გარკვეული ნაბიჯები ჯერაც გადასადგმელია. შედარებით მეტი შედეგია მიღწეული ტექნიკური სტანდარტების მიმართულებით. ბაზრის ზედამხედველობა კიდევ უფრო უნდა განვითარდეს. ინსტიტუციური პოტენციალის მიმართულებით, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს სასერტიფიკატო-სააკრედიტაციო ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო შესყიდვების ინსტიტუციონალურ ნაწილში, მთავრობამ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა ოფიციალური გეგმა GSPA. საგზაო რუკა უნდა

[3] ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება - რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის - თბილისი, 2016

იყოს საწყისი წერტილი, მან ხელი უნდა შეუწყოს DCFTA სახელმწიფო შესყიდვების ევროკავშირის ამ სფეროს კანონმდებლობასთან დაახლოებას, იმპლემენტაციას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას. ამისათვის აუცილებელია ინსტიტუციური შესაძლებლობების ჩამოყალიბება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და სხვა სათანადო ხელშემკვრელ დაწესებულებებში. 2017 წლის ივლისიდან საქართველო ოფიციალურად წარმოადგენს ენერგეტიკის საზოგადოების წევრი. ენერგეტიკის საზოგადობის, გაერთიანების ოქმის ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველომ უნდა მოახდინოს თავისი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის მთავარ კანონმდებლობასთან, ენერგიასა და ენერგეტიკასთან, ენერგომატარებლებთან დაკავშირებით.

2016 წლის 4 იანვარს, საქართველოს მხრიდან განხორციელდა WTO-ს ვაჭრობის გამარტივების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება. იგი ძალაშია 2017 წლის დასაწყისიდან, შეიცავს სასაზღვრო პროცედურების გამარტივების, საბაჟო ტექნიკის, ინსტრუმენტების მოდერნიზაციასთან და საბაჟო კონტროლთან დაკავშირებულ მთელ რიგ ვალდებულებებს.

ასოცირების წევრი ქვეყნები ერთმანეთთან უნდა ათანხმებდნენ ფინანსური დახმარების კუთხით პრიორიტეტულ სფეროებს. მათ საფუძველზე კი ამზადებდნენ და ამუშავებდნენ შესაბამისად ყოველწლიურ, სამოქმედო პროგრამებს. შედეგად გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნება დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზება, მოზიდვა და გადანაწილება, აღნიშნული პრიორიტეტების, განსაკუთრებული სფეროების ზრდისა და განვითარების მიმართულებით.

ამრიგად, ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს მოდერნიზაციის, ახალი რეფორმების განხორციელებისა და დამკვიდრების მნიშვნელოვან სამოქმედო გეგმას, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა მიმართულებით.

2.3 ეკონომიკის სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ადამიანის უფლებათა დაცვა-განმტკიცება;

გამჭვირვალობა;

უსაფრთხოება;

ეფექტური მმართველობა;

რეგიონული თანამშრომლობის გაუმჯობესება-გამყარება;

მაკროეკონომიკის უზრუნველყოფა.

მაკროეკონომიკის უზრუნველყოფა იქნება საფუძველი იმისა, რომ ბიზნეს სექტორი განვითარდეს, გაფართოვდეს, საბოლოოდ კი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შეუწყოს ხელი.

ევროპის მოდელი და ევროკავშირის ადგილი გლობალიზაციის პროცესში რეგიონალიზმისა და ორმხრივობის მიმართულებით, მისი ცვლილება დროთა განმავლობაში ნამდვილად უნიკალურია. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები უკვე განვითარების რამდენიმე პერიოდს ითვლის, თუმცა ჯერაც ფიქსირდება გარკვეული გამოწვევები, რომელთა გნხორციელებამაც უნდა განაპირობოს აღნიშნული ურთიერთობების გაღრმავება, შესაბამისად მეტი დადებითი ეფექტი წევრი სახელმწიფოებისთვის, ბუნებრივია, მათ შორის, საქართველოსთვის. ცნობილია, რომ ევროკავშირის გაფართოების პროცესი მიმდინარეობს გაძლიერებული რეგიონული თანამშრომლობის ფონზე, რაც განაპირობებს მდგრადი განვითარებისა და გრძელვადიან პერიოდში სტაბილურობის

უზრუნველყოფას. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, სულ უფროდაუფრო მეტად გნავითაროს და გააღრმავოს თანამშრომლობა ევროკავშირთან, რათა მოხდეს ქვეყნის მდგრადი განვითარება და ეკონომიკური ზრდა.

ევროკავშირთან ინტეგრირებისთვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული კავშირების განვითარება. შესაბამისად, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ყოველივე ეს მოითხოვს დიდ ძალისხმევას ქვეყნისგან, თუმცა აღნიშნული ფქტორების, კავშირებისა და პრიორიტეტული სფეროების მეტად განვითარების გარეშე ვერ მოხდება სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების მიღწევა, მეტიც, ევროკავშირთან შესაძლოა დისტანცია გაიზარდოს კიდეც.

ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან დაახლოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თითოეული წევრი ქვეყნის სტაბილურობა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ზრდა-განვითარება მას შემდეგ დაიწყო, რაც კონფლიქტებისა და დაძაბულობების საფრთხეები საფუძვლიანად აღმოიფხვრა. შემდეეგ კი ასოცირების მონაწილე მხარეებს დაეკისრათ უმთავრესი ვალდებულება, უპირველესად დაემყარებინათ მშვიდობიანი გარემო. თითოეულ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ფუნქციური ინტეგრაციის მაქსიმალური შესაძლებლობა. ევროკავშირთან ყოვლისმომცველი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისთვის საჭიროა ფუნქციური ინტეგრირების ელემენტების საფუძვლიანი და სათანადო განვითარება. ვროკავშირთან ამათუიმ ქვეყნის დაახლოებისთვის აუცილებელია შემდეგი ფუნქციონალური ელემენტების განვითარება:

ეკონომიკური თანამშრომლობა;

სავაჭრო ურთიერთობების განვითარება;

დარგობრივი, სექტორული თანამშრომლობა;

სამეცნერო თანამშრომლობა;

საგანმანათლებლო სისტემის კავშირები;

ენერგეტიკული ქსელების თანამშრომლობა;

სატრანსორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი თავისი შინაარსით უახლოვდება მაგალითად დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების გზას, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებით განხორციელებულ რეფორმებს. საქართველომ უნდა იხელმძღვანელოს ანალოგიური ქვეყნების გამოცდილებით, დანერგოს პრაქტიკაში, რის საფუძველზეც გადადგამს მორიგ ნაბიჯს ევროკავშირთან ურთიერთობის გამყარებისკენ.

ყოველი ნაბიჯი, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული, უნდა იყოს ორიენტირებული ევრკავშირის არსსა და მიზნებზე, რაც განაპირობებს კონკრეტულად ევროკავშირის შესაბამისი ახალი სივრცის შექმნას, პარალელურად, ქვეყანას ექნება მეტი შესაძლებლობა, რომ ჰქონდეს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების გარანტია და ეკონომიკური ზრდის გაცილებით მეტი პოტენციალი.

ევროკავშირთან ერთად შემუშავებულ დოკუმენტებში ხშირად არის ნახსენები ეკონომიკური სივრცე აღმოსავლეთ ევროპაში, როგორც მრავალმხრივ თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური სივრცის შექმნის შესაძლებლობა. შეიძლება ითქვას, რომ რეალურად ეს იქნება ინტეგრირებული სივრცე ევროკავშირის შიდა ბაზარში. აღნიშნული სივრცის შექმნაზე მუშაობაზე თანხმობა განაცხადეს მოლდოვამ, უკრაინამ და საქართველომაც. საქართველოს მთავრობამ ძალისხმევა უნდა ჩადოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან დასაკავშირებლად ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების განვვითარებაში: ეს იქნება საავტომობილო, სარკინიგზო თუ საჰაერო სატრანსპორტო დაკავშირების შესაძლებლობა. ამისთვის აუცილებელია მეტი პროექტებისა და სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ასევე სხვადასხვა სააგენტო

პროგრამებში ჩართვა და აქტიური მუშაობა როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებით, საქართველო მეტად დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს, გაამყარებს და გააფართოვებს ურთიერთობებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალიო სავაჭრო სივრცე საქართველოს აძლევს უსაზღვრო პოტენციალს, იყოს მეტად ორიენტირებული ექსპორტზე, გაზარდოს უცხოური ინვესტიციები ამ გზით მათი მოზიდვის საფუძველზე. შექმნას მდგრადი საინვესტიციო გარემო, რაც უზრუნველყოფს შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის მდგარდ განვითარებას.

თავი 3 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეული ზოგიერთი მიმართულები მიმოხილვა

3.1. საქართველო- ევროკავშირის დღის წესრიგის ამოცანების შესრულების მოკლე მიმოხილვა

ღია საზოგადოების ფონდის „ანგარიში საქართველო- ევროკავშირის დღის წესრიგის ამოცანების შესრულების შესახებ[4]“ 2019 წლის მონაცემებით დებს შედეგებს, საქართველოში აოცირების შეთანხმებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ ღია საზოგადოება, სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აკვირდება ასოცირების შეთანხმებისა და მისი დღის წესრიგის პრიორიტეტების შესრულებას და აქვეყმნებს პერიოდულ ანგარიშებს.

ანგარიშის მიხედვით, აღწერილი 2017 წლიდან დღის წესრიგში გათვალისწინებული მოკლევადიანი პრიორიტეტების შესრულება, ხარისხი, მათი მიღწევები და ხარვეზები ანტიკორუფციული სისტემის და საჯარო სამსახურის რეფორმის, სოციალური პოლიტიკის, ბავშვთა და ქალთა უფლებების, გარემოს დაცვის, მართლმსაჯულების რეფორმის, შრომითი სტანდარტებისა და პროფესიული კავშირების უფლებების მიმართულებით.

ანალიზის შედეგად ღია საზოგადოება - აქართველოს დასკვნით, 2019 წლისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, საერთო პროგრესი ქვეყანაში, არათანაბარია. ყველა სფეროში არის მთავარი პრობლემა - მისთვის დამახასიათებელი ცვლილებების მხოლოდ ფორმალური ხასიათი, რომელიც ვერ დაინერგა პრაქტიკაში, შესაბამისად არ ასახულა ან ნაკლებად არის ასახული ბენეფიციარების კეთილდღეობაზე.

მართლმსაჯულების სფეროში არ არის განხორციელებული ძირითადი ინსტიტუციების სათანდო რეფორმა.

[4] https://osgf.ge/akhali-angarishi-saqartvelo-evrokavshiris-dghis-wesrigis-amocanebis-shesrulebis-shesakheb/

იგივე ხდება გარემოს დაცვის მიმართულებით, სადაც მხოლოდ ხმამაღალი ფრაზებით შემოიფარგლება პროგრესი მეტწილად. გარემოს დაცვის სფეროში რეფორმები მოქალაქეების, ასევე შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალების მონაწილეობის გარეშე წარიმართა.

იგივე მდგომარეობაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

რეფორმების დაგეგმვისა და განცხორციელების სრულ პროცესში შესამჩნევია მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც საჯარო დაწესებულებებში, შესაბამისი სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებისა და ფინანსური რესურსის ნაკლებობაში მდგომარეობს.

3.2. დერივატივების კანონი - ქართული ფინანსური ბაზრების განვითარებისთვის

2019 საქართველოს პარლამენტმა ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა[5]. აღნიშნული კანონი ქართული კაპიტალის ბაზრის განვითარების ისტორიაში რულიად ახალი ეტაპი იწყება. დერივატივები არის კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია ფინანსური რესურსების, ასევე მათთან დაკავშირებული რისკების აცილება და უკეთ მართვა. საქართველოს საფინანსო ბაზრები, როგორც ეროვნული ბანკი მიიჩნევს, თანამედროვე მდგომარეობით საკმაოდ წარმატებით ვითარდება, რის შედეგადაც უკვე მზად არის მსგავსი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისთვის.

[5] https://www.nbg.gov.ge/index.php/index.php?m=340&newsid=3838

დერივატივებს მკვეთრად უკავშირდება ფინანსური გირავნობის საკითხებიც. ფინანსური გირავნობა არის ფინანსური სტაბილურობის განსაკუთრებული ინსტრუმენტი, რომელიც განაპირობებს ფინანსურ სექტორში რისკების შემცირებას.

აღნიშნული კანონის მიღებითა და ამოქმედებით საქართველო არულებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში გაწერილ და მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ამავე დროს ქართული კანონმდებლობა ამ მიმართულებით ხდება ევროკავშირის შესაბამისი. ფინანსური გირავნობა წარმოადგენს რისკების მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, დერივატივების ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

ასევე, აღნიშნული კანონის კიდევ ერთი საფუძველია ურთიერთგაქვითვა, რომელსაც ნეტინგი ეწოდება. ნეტინგის პოტენციალი საგრძნობლად ამცირებს კაპიტალის მოთხოვნას, რაც თავის მხრივ, აიაფებს გარკვეულ ფინანსურ ტრანზაქციებს. ნეტინგის შესაძლებლობა და მისი დაცულობის კანონით უზრუნველყოფა ბევრი უცხოური საფინანსო ინსტიტუტისათვის საქართველოში საქმიანობის აუცილებელი წინაპირობა იყო.

დერივატივების გამოყენება ხელს უწყობს შემოსავლის ზრდას და რისკების მართვას, თუმცა, არასწორი გამოყენების შემთხვევაში, თავად დერივატივებსაც აქვს ფინანსური რისკები, რის გამოც აუცილებელია შესაბამისი ცოდნის და რისკების მართვის სისტემების არსებობა. სწორედ ამიტომ, კანონის თანახმად, დერივატივების გამოყენება უნდა მოხდეს აუცილებლად ბაზრის კვალიფიციური მონაწილეების ჩარევით. ამავე დროს, ფიზიკური პირებისთვის დაშვებულია მხოლოდ იმ საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით, რომლებიც არიან ლიცენზირებული და რომელთაც ზედამხედველობს ეროვნული ბანკი. ასეთ ფინანსურ ინსტიტუტებს ევალებათ, მომხმარებელს აუხსნან სრულყოფილად პოტენციური რისკების თაობაზე, მეორე მხრივ კი ვალდებულება აქვთ, რომ არ შესთავაზონ მომხმარებელს ისეთი

პროდუქტები, რაც არ შეეფერება ამა თუ იმ კატეგორიის, კონკრეტულ, ინდივიდუალურ ინვესტორს.

კანონში მკაფიოდ არის გამიჯნული, დერივატივები როგორც ფინანსური ინსტრუმენტები, თამაშებისგან, დაზღვევისაგან და სხვა ანალოგიური პროცესებისგან, რომლებიც ნამდვილად ემსგავსებიან დერივატივებს, თუმცა მათ შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობა. აღნიშნული სხვაობა განმარტებულის კანონით.

აღნიშნული კანონის მიღების მთელ პროცესს საერთაშორისო ინვესტორები და ფინანსური ინსტიტუტები აკვირდებობდნენ. გამართული, სამართლებრივი დერივატივების გარემოს არსებობა მათთვის წარმოადგენს საქართველოში ფინანსური ტრანზაქციების განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას. მოცემული კანონით რეგულირდება ქართულ კონტრაგენტებთან ურთიერთობისას წარმოქმნილი რისკები. რის საფუძველზეც მარტივდება და იაფდება ფინანსური რესურსების მოზიდვა. ქართული ბანკებისთვის აღნიშნული კანონის მიღება დერივატივების მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რასაც ისინი დიდი ხანია ელოდებიან დიდი ინტერესით, ბანკები ვარაუდობენ, რომ ქართული ფინანსურ სექტორს კანონის მიღების შედეგად დამდგარი პოზიტიური ცვლილებები მალევე შესძენს ბენეფიტებს.

2016 წლიდან მიმდინარეობს აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა, მის მომზადებაში ერთვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები, ასევე ადგილობრივი ფინანსური ბაზრისა და იურიდიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეროვნულ ბანკს ამ მიმართულებით მხარს უჭერდა EBRD. დერივატივების სესახებ კანონის შემუშავებაში, სხვადასხვა სამუშაო პროცესში, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ISDA-მ. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც 900-ზე მეტ წევრს აერთიანებს მსოფლიოს 71 ქვეყნიდან, ამავე დროს წარმოადგენს უპირობო ავტორიტეტს დერივატივების სფეროში.

კანონპროექტის შემუშავების დროს მაქსიმალურად ხდებოდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, განიხილებოდა მისი ადამპტირების შესაძლებლობები საქართველოში, ამავე დროს მოხდა ქართული ბაზრისა და სამართლებრივი სისტემის მახასიათებლებისა და თავისებურებების გათვალისწინება. პროექტის შემუშავებაში საკმაოდ აქტიურად ღინიშნებოდა ფინანსთა, ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროების ჩართულება.

კანონ პროექტზე მუშაობის პროცესში ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, დერივატივების სამართლებრივი, ასევე პრაქტიკული ასპექტების მიმართულებით. მათში მონაწილეობდნენ ასევე ქართული ბანკების, საფონდო ბირჟის, საბროკერო კომპანიების და იურიდული კომპანიების წარმომადგენლები, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები.

3.3. ევროკავშირის დახმარება საქართველოს საბანკო და საგადახდო მომსახურების სფეროს გაძლიერების მიმართულებით

2019 წელს საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის ფარგლებში, საქართველოს მხარემ, ეროვნულ ბანკთან ერთად განახორციელა ცვლილებები. ევროკავშირი საქართველოს ეროვნულ ბანკს საბანკო და საგადახდო მომსახურების სფეროს გაძლიერებაში ეხმარება. ევროკავშირის ახალი პროექტი საბანკო და საგადახდო მომსახურების სფეროში ეროვნული ბანკის შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავს მიზნად. პროექტის ბიუჯეტი 1.75 მილიონ ევროს შეადგენს და მას პოლონეთის ფინანსური ზედამხედველობის უწყება (UKNF) 2 წლის განმავლობაში განახორციელებს[6]. პროექტის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება და ევროკავშირის გამოცდილებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება. მოცემული პროექტის წარმატებით და დანიშნულებისამებრ

[6] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3718

განხორციელება იქნება ფინანსური ზედამხედველობის მექანიზმების გაუმჯობესების წინაპირობა, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს საქართველოს ფინანსური სექტორის სტაბილურობას, მთელი სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ისწრაფვის სიახლეების, ინოვაციური შესაძლებლობების მოკვლევისა და მსოფლიოს წარმატებული პრაქტიკის დანერგვისკენ. აღნიშნული დაძმობილების პროექტი განსაკუტრებული მნიშვნელობისაა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, რადაგან პროექტის მიზნები თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატთან, რაც გულისხმობს საფინანსო სექტორის სტაბილურობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფას იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ზედამხედველობის მექანიზმები, ევროკავშირში დაფიქსირებული საუკეთესო პრაქტიკის ანალოგიურად.

"ევროკავშირი აძლიერებს ფინანსური სექტორის მხარდაჭერას საქართველოში. ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი, საქართველოს საბანკო და საგადახდო მომსახურების ჩარჩოების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გზით, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსური სტაბილურობის ხელშემწყობია, ასოცირების შესახებ შეთანხმებით/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად [7] ", - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელმა, ვინსნეტ რეიმ,

პოლონელი და ქართველი პარტნიორების ერთობლივი მუშაობა ხელს შეუწყობს:

- რეგულარულ, ზედამხედველობისა და აღსრულების ჩარჩოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისად;

[7] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3718

- საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ფუნქციისა და შესაძლებლობების კიდევ უფრო გამყარებას საბანკო და საგადახდო მომსახურების მიზნობრივი ბაზრის რეგულაციის მიმართულებით, ევროკავშირის კანონმდებლობის, ამავე დროს ევროკავშირის წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების შესაბამისად;
- ზედამხედველობის მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლებას იმ მიზნით, რომ საბანკო და საგადახდო მომსახურების სექტორის ბენეფიციარები იყვნენ უფრო დაცულები, ასევე რა თქმა უნდა, საფინანსო ბაზრის განვითარებისთვის საქართველოში.

პროექტი აუცილებლად იქნება ეფექტიანი და გრძელვადიან პერიოდში ქვეყანას უამრვ ბენეფიტს მოუტანს.

3.4. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა - როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება გათვალისწინებული იყო, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

რას ნიშნავს დეპოზტიების დაზღვევის სიტემა და როგორია მისი მნიშვნელობა ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობისა და სტაბილრობის მიმართულებით? საბანკო მენეჯმენტი არის საბანკო საქმიანობისა და საბანკო სფეროში დასაქმებულ პირთა მართვის მეცნიერულ სისტემა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მიკრო და მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა. კომერციული ბანკების მიკროეკონომიკურ პრიორიტეტებია: საიმედოობა, ბანკისა და ბანკის კლიენტების რესურსების დაცულობა, უსაფრთხოება და შემოსავლიანობა. ბანკის მაკროეკონომიკური პრიორიტეტები ეხება ეროვნული ფულადი ერთეულის სტაბილიზაციას და ეკონომიკაში მატერიალური, ფულადი რესურსების გამოყენებას.

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სისტემის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ-სამართლებრივ ელემენტს საბანკო რეგულირება და ზედამხედველობა წარმოადგენს. ეს ფაქტორი ითვალისწინებს ბანკებისთვის განსაზღვრული შეზღუდვების დაწესებას, მათივე წარმატებითვის, ასევე ბანკისა და მისი მომხმარებლის ინტერესების თანხვედრისთვის.

საერთაშორისო პრაქტიკითა და გამოცდილებით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ითვლება ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ინსტრუმენტად.

საქართველოში, 2017 წლის 24 ივლისს დაარსდა დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო საქართველოს კანონის „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ შესაბამისად. საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა საქართველოში მოქმედი, ყველა კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული რეზიდენტი თუ არარეზიდენტი ფიზიკური პირების ანაბრების ანუ დეპოზიტების დაზღვევა. საქართველოს კანონის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ თანახმად, ნებისმიერი კომერციული ბანკის პრობლემური პერიოდის დადგომისთანავე, მის მიმართ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის თუ გაკოტრების პროცესის დაანონსებისთანავე, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო იღებს ვალდებულებას, 20 კალენდარული დღეში უზრუნველყოს დეპოზიტორების კუთვნილებაში არსებული თანხები აანაზღაუროს დადგენილი ზღვარის ფარგლებში. ეს სთანხა დღეისთვის 5000 ლარია, თუმცა 2020 წლის 1 ივლისიდან, როგორც დაანონსებულია, უნდა გაიზარდოს და გახდეს 15000 ლარი. საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ძირითადი მისიაა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მცირე ადმინისტრაციული რესურსით, მათი ეფექტიანი მართვის გზით. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შექმნის მიზანია დეპოზიტორების უფლებათა დაცვა, ფინანსური უსაფრთხოების გაძლიერება, საბანკო სექტორში მოსალოდნელი

სისტემური კრიზისის პრევენცია და მისი თავიდან აცილება. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ფუნქციონირებს მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით. კანონის შესაბამისად, დაზღვევას ექვემდებარება როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტები[8].

დეპოზიტების დაზღვევის სისტემამ საზოგადოებას უნდა აუმაღლოს ნდბი ფაქტორი და დადებითი დამოკიდებულება კომერციული ბანკებისადმი, რაც პოზიტიურად აისახება მთელ საბანკო სიტემაზე, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მის განვითარებაზე.

დეპოზიტი ეს არის მომხმარებლის (კლიენტის) მიერ ბანკში განსაზღვრული ვადით ან თუნდაც უვადოდ განთავსებული დროებით თავისუფალი თანხა, რომელსაც საპროცენტო სარგებელი დაერიცხება. დეპოზიტები, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავს ვადიან და ასევე მოთხოვნამდე ანაბრებს, ამავე დროს მიმდინარე ანგარიშებსაც. თანხის განთავსებაზე, მათ სარგებლობაზე ბანკს შესაძლოა, დაწესებული ჰქონდეს გარკვეული საკომისიო გადასახადი. კომერციული ბანკი, არცთუისე იშვიათად, დეპოზიტის სინონიმად იყენებს ანაბარს.

საქართველო ეროვნულ ბანკი, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ფარგლებში კომერციული ბანკებს უწესებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, ეროვნული და უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე, ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე, ნასესხებ სახსრებზე. თანხების გაანგარიშება ხდება 14-დღიან პერიოდზე, საშუალო მოზიდულ სახსრების მიხედვით. კომერციულ ბანკებს აქვთ ვალდებულება, ეროვნულ ბანკში საკორესპოდენტო ანგარიშზე, საშუალოდ მოზიდული სახსრებისთვის, საშუალო ნაშთის სახით, განათავსონ არანაკლებ მინიმალური

8 http://diagency.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91

სარეზერვო მოთხოვნის ფარგლებში დაანგარიშებული თანხა. აღნიშნული თანხა იბლოკება ამ პერიოდის მანძილზე.

სარეზერვო მოთხოვნების ცვლილების გზით ეროვნული ბანკი ზეგავლენას ახდენს ბანკების მიერ დაკრედიტების მოცულობაზე, ასევე საპროცენტო განაკვეთებზე. ბანკების მხრიდან სავალდებულო რეზერვების დაცვის პირობებში, ეროვნული ბანკი ახორციელებს მათზე პროცენტების დარიცხვას. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალი და სხვა, მასთან გათანაბრებული სახსრები გათავისუფლებულია აღნიშნული მოთხოვნისგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, 2019 წლის ოქტომბერში საქართველოს მთლიანი სავალუტო რეზერვი 216 მილიონი დოლარით შემცირდა და შეადგინა დოლარში 3.38 მლრდ. სავალუტო რეზერვების ასეთი მკვეთრი შემცირება, კომერციული ბანკებისთვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის შემსუბუქებამ გამოიწვია.

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის "Standard&Poor's" (S&P) საქართველოს სუვერენული სარეიტინგო ხაზში, პერსპექტივა დაწინაურდა სტაბილურიდან პოზიტიურისკენ, შესაბამისად რეიტინგი "BB "დონით დადასტურდა. S&P-ი ხაზს უსვამს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას[9].

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, რა თქმა უნდა, დადებითად აფასებს საერთაშორისო რეზერვების დაგროვების კუთხით მიმდინარე სიახლეებს. S&P შეფასების მიხედვით, გაზრდილი რეზერვებით საქართველოს დაცვა საგარეო შოკების დროს მარტივად იქნება შესაძლებელი. S&P დადებითად აფასებს ლიკვიდობის მოთხოვნების განსხვავებას ეროვნულსა და უცხოურ ვალუტებს შორის ვალდებულებების შესაბამისად, ასევე საპენსიო რეფორმის დანერგვას, ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, დეპოზიტის დაზღვევის შემოღებას.

[9] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

პოზიტიური ნაბიჯია ეროვნული ბანკის ძალისხმევა, შეამციროს დაკრედიტების ტენდენციის შედეგად გამოწვეული რისკები.

საქართვლოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული წესების "1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/19/EC დირექტივა დეპოზიტების საგარანტიო სქემების შესახებ[10]", დირექტივის ზოგადი მიზნების მიხედვით საქართველომ უნდა უზრუნველყოს დეპოზიტორთა სიმდიდრის დაცვა, ანუ საბანკო პანიკის თავიდან აცილება, ეს ნიშნავს იმას, რომ ბანკის გადახდისუუნარობის რისკის შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სისტემამ უნდა უზრუნველყოს აზოგადოების მხრიდან პანიკის ცაქრობა. ბანკის კრიზისის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე რაც უფრო მეტი ადამიანი გამოითხოვს დეპოზიტებს, მით უფრო მეტად გაიზრდება დეფოლტის საშიშროება, რადგან არსებობს ალბათობა, რომ საკმარისი არ აღმოჩნდეს საბანკო რეზერვები მათ დასაფარად;

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მეშვეობით უნდა მოხდეს ფინანსური სტაბილურობის დამყარება და შენარჩუნება დეპოზიტორების ნდობის ამაღლებითა და ეფექტიანი ზედამხედველობით;

დეპოზიტების დაზღვევის სისტემამ უნდა უზრუნველყოს შიდა ბაზრის სტაბილურობა, ადგილობრივი ბანკების გაძლიერებით;

დეპოზიტების დაზღვევის სისტემამ უნდა შეძლოს ბანკების მიერ პირდაპირი ოპერაციების უზრუნველყოფა ევროკავშირში.

საქართველოს ხელისუფლებამ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დასანერგად ქვეყანაში, გაითვალისწინა საერთაშორისო გამოცდილება. ხელისუფლებას აქვს დიდი მოლოდინი, რომ ევროკავშირთან ჰარმონიზებული, დეპოზიტების დაზღვევის

[10] http://eugeorgia.info/ka/article/589/depozitebis-dazgvevis-shesaxeb-reformis-shefaseba-da-msoflio-gamocdileba-/

სისტემის დანერგვა კომერციული ბანკების სანდოობის ფაქტორს აამაღლებს როგორც საზოგადოებაში, ასევე საერთაშორისო დონეზე, შესაბამისად გაიზრდება საერთაშორისო ოპერაციები საბანკო სფეროში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემას გარკვეული მორალური რისკებიც სდევს თან, ორი მხრიდან, როგორც ბანკების, ისე მომხმარებლების მხრიდან, მაგრამ აღნიშნული რისკების თავიდან აცილება მოხდება, თუ სწორი ზედამხედველობის პოლიტიკა გატარდება, ჩამოყალიბდება ეფექტიანი ინსტიტუციური გარემო. აღნიშნული გარემო გულისხმობს საბანკო სექტორის სტაბილურობას, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის მოქნილ პოლიტიკას და ქვეყანაში სამთავრობო საფინანსო ინსტიტუციების ეფექტიან არებობას.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა გათვალისწინებული იყო, როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში, ასევე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს, ასევე დეპოზიტების დაზღვევის ფონდში, აკუმულირებული თანხები მიზნობრივად დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 6%-ს შეადგენს.

დეოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის მიზანია:

კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის ფაქტორის ამაღლება, რის საფუძველზეც გაძლიერდება აბანკო სისტემა და შესაბამისად შენარჩუენდება ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობა ;

დანაზოგების წახალისება;

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა;

შიდა და გარე შოკების მნიშვნელოვნად შემსუბუქება.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის დაფინანსების წყაროა:

კომერციული ბანკების პირველადი შენატანები 100 000 ლარის ოდენობით, რომელსაც უზრუნველყოფენ კომერციულმა ბანკები;

რეგულარული სადაზღვევო შენატანები, რომელსაც ასევე, კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ;

სპეციალური სადაზღვევო შენატანები, რომელსაც კომერციული ბანკები გარკვეულ შემთხვევების დადგომისას უზრუნველყოფენ, ეს ხდება მაშინ, როდესაც ფონდში დაფიქსირდება არასაკმარისი რესურსი, სადაზღვევო კონკრეტული შემთხვევის დადგომის დროს, ანუ როდესაც ბანკი ვერ უზრუნველყოფს კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის გაცემას;

სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას კომერციული ბანკების მატერიალური აქტივებიდან მიღებული ფინანსური სახსრები, ანუ როდესაც ბანკი ვერ იხდის კლიენტის მიერ მოთხოვნილ თანხას ფულადი ფორმით, ამიტომ ადგილი აქვს მისი აქტივების რეალიზაციას;

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ნებადართული სხვა სახის შემოსავლები.

გარდა პირველადი შენატანისა, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, განახორციელონ რეგულარული შენატანები, ყოველთვიურად, კერძოდ ლარში დაზღვეული დეპოზიტების შემთხვევაში, მათი მთლიანი მოცულობის 0,067%-ის მოცულობით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტის 0,1%-ის მოცულობით. ანუ, თუ რომელიმე ბანკში, დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა ლარში მოიცავს 1 მლნ ლარს, მიმდინარე თვეს აღნიშნულმა ბანკმა ფონდში უნდა შეიტანოს 670 ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს ხარჯები მსხვილი

ბანკებისათვის მეტი მოცულობის იქნება, ვიდრე მცირე სეგმენტის ბანკებისათვის. დაზღვევას ექვემდებარება როგორც აღვნიშნეთ, 5 000 ლარამდე დეპოზიტები, ფიზიკური პირების კუთვნილებაში არსებული ანაბრის თანხებისა და უფრო დიდი თანხის შემთხვევაში 5000 ლარის ოდენობით. დეპოზიტების დაზღვევის კანონპროექტის ინიციატორები დასაწყისშივე განმარტავდენ, რომ დეპოზიტორების 90% -ის დეპოზიტი სწორედ 5 000 ლარამდე აღწევს, ამიტომაც გადწყდა აღნიშნული თანხის ოდენობა.

დეპოზიტების დაზღვევის ფონდის უსაფრთხოებისა და ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, ფონდის რესურსების ინვესტირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ დაბალი რისკის მქონე აქტივებში, როგორიცაა:

სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკის ან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ არის გამოშვებული, ლარით დენომინირებული;

დეპოზიტები, რომლეიც საქართველოს ეროვნულ ბანკს ეკუთვნის.

ფონდში აკუმულირებული თანხები უნდა იყოს ფონდის მიზნობრივი რაოდენობის ტოლფასი, ანუ დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 6%.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მსოფლიო გამოცდილება

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა შეიქმნა აშშ-ში. აღნიშნული სქემის დანერგვა უკავშირდება დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდს, მის მიზანს საბანკო კრიზისების პრევენცია წარმოადგენდა. დეპოზიტების დაზღვევის არსი იყო შემდეგი: როდესაც დეპოზიტორებმა იციან, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს დეპოზიტებს, როდესაც შეიძლება საბანკო სისტემა კრიზისის წინაშე აღმოჩნდება, მაშინ ისინი არ შექმნიან საბანკო პანიკას (Bank run). დეპოზიტების დაზღვევა თავიდან აგვარიდებს ასეთ მასობრივ პანიკას და შესაბამისად საბანკო კრიზისებს. თუმცა, ემპირიული

კვლევებით ისიც დასტურდება, რომ დეპოზიტების დაზღვევა არ არის ერთადერთი და მოქნილი ინსტრუმენტი საბანკო სისტემური კრიზისების ასაცილებლად.

1900 იანი წლების 80-იან წლებში, ეკონომიკური თანამშრომლობის, განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს დეპოზიტების დაზღვევის სიტემის ამოქმედება, რასაც უმთავრესად კრიზისის შემდგომი პერიოდის გადალახვის მიზანი ჰქონდა. 1994 წლიდან უკვე დეპოზიტების დაზღვევა გახდა ერთ-ერთი მატვარი სტანდარტი გახდა ევროკავშირის ქვეყნებისათვის , ეს არის დირექტივა 94/19/EC

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეპოზიტების დაზღვევასთან დაკავშირებით, იკვეთება პრობლემაც: დაზღვევით გარანტირებული და თვითდარწმუნებული მომხმარებლები უკკვე აღარც ინტერესდებიან ამათუ იმ ბანკების საქმიანობით, კონკრეტულად იმ ფაქტით, თუ რა სფეროში აბანდებს კონკრეული ბანკი ინვესტიციას, რამდენად რისკიანი ან ურისკოა მისი საინვესტიციო პორტფელს, რომელიც მათი დეპოზიტების თანხით იქმნება. ამ პრობლემას „მორალური საფრთხე“ ეწოდება. ისეთ ქვეყანებში, სადაც დეპოზიტების დაზღვევა არ არის დანრგილი, დეპოზიტარები მეტი მოტივაციით არიან გამსჭვალული, დააკვირდნენ საკუთარი ბანკის ნბიჯებს, მათი საინვესტიციო პროექტები შეფასონ, შეისწავლონ, გააკეთონ სათანადო დასკვნები. დარწმუნდნენ, რომ ბანკს ნამდვილად არ შეექმნება გადახდისუუნარობის პრობლემა. ხოლო ისეთ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს დეპოზიტების დაზღვევა, მომხმარებელს არა აქვს მოტივაცია, აკონტროლოს მისი ბანკის ქცევა, რადგან მას გარანტირებული აქვს საკუტარი თანხის ანაზღაურება, ბანკის მიერ გაწეული რისკების მიუხედავად.

დეპოზიტორებისთვის დეპოზიტების დაზღვევის გარანტიით უზრუნველყოფას აქვს ორი ურთიერთსაპირისპირო ეფექტი. პოზიტიური მხარე არის ის, რომ საბანკო პანიკა ნაკლებად წარმოიშობა საზოგადოების მხრიდან ხოლო უარყოფითია სწორედ დეპოზიტორების მხრიდან ბანკების საინვესტიციო ქმედებებზე ნაკლები დაკვირვება, რაც ბნკებს ხშირ შემთხვევაში უბიძგებს გადადგას მეტად რისკიანი ნაბიჯები. ტავის მხრივ, ბანკიც უფრო მეტად რისკავა ამ შემთხვევაში, რადგან

დარწმუნებულია, რომ თუ შეექმნება კრიზისი და ვერ მოახერხოს უზრუნველყოს საკუთარი დეპოზიტარები, მაშინ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო შეასრულებს მის ფუნქციას და დააკამყოფილებს კლიენტებს. იმ იმედით, რომ ამ ფაქტს მაინც არ მოჰყვება საბანკო პანიკა და ამას უზრუნველყოფს დეპოზიტების სააგენტო, კომერციულ ბანკებს ნამდვილად აძლევს იმი წინაპირობას, რომ გაცილებით მეტდ გრისკონ, მეტად არისკო საქმეებში დააბანდონ დეპოზიტებზე განტავსებული თანხები, მეტი მოგების მიღების მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) კვლევის თანახმად, 60 დან 40 ქვეყანაში დაზღვევის სიტემის დანერგვა მოხდა 1980 და 1990-იან წლებში, როცა ადგილი ჰქონდა საბანკო კრიზისებ და არასტაბილურობას.

მსოფლიო მასშტაბით, საერთაშორისო გამოცდილებითა და პრაქტიკით, დეპოზიტების დაზღვევის სიტემა ტიპებისა და პირობების მიხედვით გარკვეულწილად განსხვავებულია. ზოგი სისტემა ყველა ტიპის დეპოზიტს აზღვევს, ზოგიერთ ქვეყანბაში ბანკთაშორისი დეპოზიტები დაზღვევას არ ექვემდებარება, ზოგში მხოლოდ ფიზიკური პირების დეპოზიტების დაზღვევა ხდება. ზოგ ქვეყანაში სადაზღვევო დაფარვა (insurance coverage) $10,000 -ით ლიმიტირდება ყოველი ანგარიშისთვის, ზოგ ქვეყანაში ასეთი საზღვრები საერთოდ არ არსებობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია მდგომარეობს იმაში, რომ სასურველია ქავეყანამ დეპოზიტების დაზღვევის დაფარვა განსაზღვროს შემდეგი ფორმულით: ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ტოლფასი ან მისი გაორმაგებული რაოდენობით. დეპოზიტების დაზღვევის ანაზღაურების საზღვრები უნდა შეესაბამებოდეს შემოსავლებს ან სიმდიდრის სხვა საზომებს, დეპოზიტორების უსაფრთხოების მიზნით.

დეპოზიტების დაზღვევის სქემა შეიძლება იყოს ცხადი და არაცხადი.

დემირგუჩ-კუნტის და დეტრაგიაჩების (Demirgu.c-Kunt, Detragiacheb 2002) ქვეყნის პანელური სტატისტიკის მიხედვით ჩატარებული კვლევით, შეფასდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ზეგავლენა საბანკო კრიზისების წარმოშობის ალბათობაზე. ეს იყო 1980-1997 წლების განმავლობაში. კვლევის თანახმად, იქ, სადაც საპროცენტო განაკვეთები არ არის რეგულირებული ან/და სუსტი ინსტიტუციური გარემო სუფევს, ცხადი ტიპის დეპოზოტების დაზღვევის სისტემა შეიძლება აღმოჩნდეს საზიანოც კი საბანკო სექტორის სტაბილურობისთვის. იმ ქვეყნებში კი, სადაც მაღალ დონეზეა განვითარებული ინსტიტუციური გარემო, მაქსიმალურად არის შეზღუდული მორალური საფრთხეები, როდესაც ეფექტიანია პრუდენციული რეგულირება, საბანკო ძლიერი ზედამხედველობა აბათილებს ნეგატიურ სტიმულებს, რომელსაც აჩენს დეპოზიტების დაზღვევა. კვლევამ გამოავლინა, რომ რაც უფრო მაღალ დონეზეა სადაზღვევო დაფარვის ხარისხი, დეპოზიტების დაზღვევის პოზიტიური ეფექტიანობა საბანკო სექტორის სტაბილურობაზე მით უფრო მზარდია.

2013 წლის ბოლოს უკვე 112 ქვეყანაში იყო დანერგილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის განვათარება განსაკუთრებით შეინიშნებოდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიერ დამკვიდრებული ჰარმონიზაციის პროცესი იყო კიდევ ერთი წამყვანი ძალა, რომელმაც დაავალდებულა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დაენერგათ დეპოზიტების დაზღვევის სქემა.

დეპოზიტების დაზღვევა განსაკუთრებით ფართოდა არის გავრცელებული მაღალშემოსავლიან ქვეყნებში. 2013 წლის ბოლოს ასეთი ქვეყნების 84%-ში უკვე დანერგილი იყო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ცხადი ტიპი. დაბალშემოსავლიან ქვეყნების 32%-შია სისტემა დანერგილი. ცხადი სქემების უმრავლესობა გამიჯნულია ცენტრალური ბანკებს, საბანკო საზედამხედველო სააგენტოებს და ფინანსთა სამინისტროებს. დეპოზიტების დაზღვევის ანალოგიური სქემების მხოლოდ 14% იმყოფება სამთავრობო ინსტიტუტების ზედამხედველობის

ქვეშ. აღნიშნული მაჩვენებელი ვარირებს იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება შემოსავლის დონე, შედარებით მაღალია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში.

კარაპელა და დი ჯორჯიოს (Carapella, Di Giorgio, 2004) კვლევების მიხედვით, ცხადი დეპოზიტების დაცვის სისტემა ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საბანკო სპრედის ანუ სასესხო და სადეპოზიტო განაკვეთებს შორის სხვაობის ზრდას. თუმცა, ეფექტი შეიძლება დეპოზიტების მხრიდან პირიქით აღმოჩნდეს, ვიდრე მოსალოდნელი იყო, რადგან დეპოზიტების დაზღვევა იწვევს მათი უსაფრთხოების ზრდას, შესაბამისად, შესაძლოა, შემცირდეს ბანკების მიერ გაცემული სადეპოზიტო განაკვეთი. უმეტესად ამ ეფექტს განაპირობებს საშუალო სასესხო განაკვეთის ზრდის ხარჯზე განხორციელებული ბანკის ქმედებები. აღნიშნული ეფექტის ინტერპრეტირებას ავტორები ზუსტად მორალური საფრთხით ხსნიან, ანუ, როგორც მაღლა აღვნიშნეთ, დეპოზიტების დაზღვევა ბანკებს უბიძგებს, რისკიან სასესხო აქტივობებში თამამად ჩართვის მოტივაციას, რის საფუძველზეც საბოლოოდ ფიქსირდება საშუალოზე მაღალი სასესხო განაკვეთი.

იგივე კვლევის თანახმად, ინსტიტუციონალური ხარისხის ინდიკატორებიც ასევე დიდ გავლენას ახდენენ ბანკის საპროცენტო განაკვეთზე. იმ ქვეყნებში, სადაც ინსტიტუციების ხარისხი მაღალია, მეტ-ნაკლებად დაბალია საბანკო სპრედი, ვინაიდან სასესხო განაკვეთის შემცირება უფრო მეტია, ვიდრე სადეპოზიტო განაკვეთების შემცირება.

აქვე უნდა აღინიშნოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის უუნარობის ფაქტები ისლანდიისა და კვიპროსის მაგალითზე, რომელიც გამოვლინდა 2013 წელს, აღნიშნულ ქვეყნებში დიდი საბანკო კრიზისის დროს.

ისლანდიაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 1985 წლიდან დაინერგა. სისტემა მუშაობდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი დეპოზიტორებისთვის. 2013 წელს,

შიდა საბანკო კრიზისის დროს, ქვეყანამ ვერ შეძლო უცხოელი დეპოზიტორების დაკმაყოფილება დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

2013 წელს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კვიპროსშიც უუნარო აღმოჩნდა. კვიპროსის უმსხვილესი ბანკების კრიზისის დროს წარმოიშვა საბანკო პანიკა. მაშინ, როდესაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის მიზანი ნებისმიერ ქვეყანაში სწორედ ასეთი პანიკის თავდან აცილებაა, და მის პრევენციის მექანიზმად მოიაზრებოდა. ყოველივე ეს იყო იმის მიზეზიც, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ ეტაპზე ევროკავშირის ფარგლებში სადაზღვევო ლიმიტები 20 ათასიდან გაიზარდა 100 ათას ევრომდე.

იმედია, საქართველო დანაპირებს შეასრულებს და 2020 წლის 1 ივლისიდან დეპოზიტების ანაზრღაურების ზღვარს ასწევს 5000 -დან 15 000 ლარამდე. სხვა შემთხვევაში, ის რისკები, რაზეც მაღლა ვისაუბრეთ, ნამდვილად იარსებებს ქართულ რეალობაშიც. იმ შედეგების შეფასება, თუ რა ფაქტობრივ შედეგებს მოუტანს საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, სავარაუდოდ, უკვე რამდენიმე წელიწადში გამოვლინდება.

თავი 4. კვლევა - საზოგადოების ინფორმირებულობა, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების სიკეთეების შესახებ

4.1. შესავალი, კვლევის მიზნები და ამოცანები

საკვლევი თემის აქტუალურობამ, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, ამავე დროს საკითხის მეტად სენსიტიურობამ მოითხოვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენება. ყველა ინდივიდს საკუთარი შეხედულება და მოსაზრება აქვს ამ მიმართულებით.

გამოკითხულთა ნაწილი არის ბიზნესის მფლობელი, ნწილი ასაკობრივად იმ ეტაზეა, რომ კარგად შეუძლია გააანალიზო ქვეყნის განვითარები თანამედროვე მდგომარეობა და მაში ევროკავშირი ფუნქცია.

კვლევის შედეგად უნდა გამოვლინდება ის, თუ რამდენად არის მოსახლეობაში ცნობილი ევროკავშირის მიერ გაწული დახმარების შედეგები და იღებენ თუ არა კონკრეტულად თავად ამ ბენეფიტებს. შედეგები, ვფიქრობთ, საინტერესოა ხელისუფლებისთვისა, რომ გაითვალიწინოს, რას ფიქრობს საზოგადოება და გრძნობ თუ არა ხალხი მის მხარდაჭერს, ენდობა თუ არა ხელისუფლებას, ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტებს და ა.შ. გამოკითხული ადამიანების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გამოსაკვლევად, საქართველოში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულების შესახებ და მის ფარგლებში გათვალისწინებული, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიმართულებით განხორციელებული პროცესების შესახებ გამოკითხვა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ჩატარდა.

საკვლევი ობიექტი დავყავით ორ ნაწილად. პირველი საკითხის შესწავლა დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რა ფაქტორებს აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას ინდივიდები, კვლევის მეორე ნაწილი კი განსაზღვრავს, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ ისინი.

1. **კვლევის მიზანია გავიგოთ, მოსახლეობის ინფორმირებულობი დონე** იცნობენ თუ რა განხორციელებულ რეფორმებს

2. **კვლევის მიზანია გაირკვეს, ენდობა თუ არა ცვლილებებ საზოგადოება და აქვს თუ არა განცდა, რომ ეს რეფორმები მათ საკეთილდღეოდ ტარდება**

4.2. კვლევის შედეგები

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.

სულ გამოიკითხა 300 რესპოდენტი ონლაინ გამოკითხვის გზით. მათი ასაკი განსხვავებულია



სქესი



განათლება



რა იცით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ? როგორ ფიქრობთ, როგორია მისი დადებითი ზეგავლენა დღევანდელი მდგომრეობით საქართველოში?

პასუხიდან გამომდინარე, საზოგადოებაი ინფორმირებულობის დონი სიმცირის გამო ასოცირების ხელშეკრულების სიკეთეების შესახებ ანალიზის შესაძლებლობაც დაბალია



ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რომელი მიმართულებით გატარდა მეტი რეფორმები, რომელთა შედეგიც შესამჩნევია თქვენთვის?



ფლობთ თუ არა საკუთარ ბიზნესს?


Sales
37%
63%
დიახ
არა

ხართ თუ არა ინფორმირებული აქართველოში აგადასახადო მიმართულებით ცვლილებებთან დაკვშირებით და თუ გსმენიათ „ესტონური მოდელის“ შესახებ



როგორ ფიქრობთ, საკუთარი ბიზნესის მფლობელები, გამოიყენებთ ესტონური მოდელის შემოთავზებას, რომ გაუნაწილებელი მოგების თანხა მოხმარდეს ისევ თქვენივე ბიზნესის განვითარებას, რადგან ამ შემთხვევაში თავისუფლდებით მოგების გადასახადი ვალდებულებისგან?



ფლობთ თუ არა ანაბარს საქართველოს კომერციულ ბანკებში?



გსმენიათ „დეპოზიტების დაზღვევის საგენტოს“ შესახებ? თუ კი, როგორ ფიქრობთ, მისი ფაქტორი გაზრდის თქვენს მოტივაციას, რომ ქართულ კომერციულ ბანკებში განათავსოთ დროებით თავისუფალი თანხები სოლიდური მოცულობით თუ სხვა გზას ირჩევთ მათ დასაბანდებლად?



როგორია თქვენი დამოკიდებულება ქვეყნის მომავალი განვითარების კუთხით?



რა კუთხით იმოქმედა დადებითად პირადად თქვენზე საქართველოში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განხორციელებულმა რეფორმებმა?



დასკვნა

ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტებია. ამ კურსს ნამდვილად აქვს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. საერთაშორისო ინსტიტუციებს შორის ქართველ საზოგადოებაში ევროკავშირი დიდი სანდოობის ფაქტორით სარგებლოს, ევროკავშირ მოსახლეობის იმაზე დიდი ნაწილი ენდობა, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუციებს.

საქართველოს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პროცესები წინა საუკუნის 90-იანი წლების ჯერ კიდევ დასაწყისიდან დაიწყო. გადაწყვეტილებამ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრანსფორმაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართულების გზით განხორციელებულიყო, ქვეყანას წლების წლების მანძილზე მნიშვნელოვანი კონკრეტული ბენეფიტები შესძინა.

თანამედროვე საქართველო სარგებლობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების (Association Agreement – AA), აგრეთვე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) შეთანხმებების დადებითი ელემენტებით. საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ მოგზაურობენ ევროკავშირისა და შენგენის ზონის სახელმწიფოებში. მიუხედავად ანისა, რამდენიმე უპასუხო საკითხი დგას, ქვეყნის წინაშე, მათ შორის: კიდევ რა ნაბიჯების გადადგმა არის შესაძლებელი ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით და როდის მივიღებთ ინტეგრაციის სრულ შემოთავაზებას? ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულაში საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნად მოიაზრება, რითაც ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების (Treaty Establishing the European Union – TEU) 49-ე მუხლის შეზღუდვის აცილება ხდება, სადაც წერია: "კავშირის წევრობაზე მიმართვა შეუძლია ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც პატივს

სცემს მე-6 (1) მუხლში მოცემულ პრინციპებს". აღმოსავლეთის პარტნიორობის (EaP), ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) ფარგლებში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა პირდაპირ არ არის ნახსენები, თუმცა "საქართველოს საგარეო პოლიტიკის 2019-2022 წლების სტრატეგიის" მიხედვით, ეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზანია.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები პარრტნიორობასა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე (Partnership and Cooperation Agreement – PCA) დაიწყო, 1996 წლიდან, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. 2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება (AA), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალ სავაჭრო სივრცის (DCFTA) გთვალისწინებით. აღმოსავლეთის პარტნიორობის (EaP) საწყისებიდან საქართველო ჩართულია აქტიურად მასში. პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ღრმავდება, მოქალაქეები ვიზის გარეშე გადაადგილდებიან ევროკავშირის შენგენის ზონაში, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ანტიკორუფციული პოლიტიკის, სურსათის უვნებლობის, სასაზღვრო მართვის, მოგზაურობის დოკუმენტური უსაფრთხოების, დისკრიმინაციის, პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, საფინანსო ექტორში მიმდინარე სხვადასხვა რეფორმის მიუხედავად, მაინც რჩება მთელი რიგი საკითხები, რომელშიც საზოგადოების ნდობის ფაქტორი საკმაოდ დაბალია, ასეთია მაგალითად სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის ნაკლოვანებები. ცხადია, მხოლოდ ევროკავშირის მკაცრი პირობები არ არის მხოლოდ საკმარისი, თუ მას საქართველოს მთავრობის მკაფიო ხედვა და ნება არ ამყყარებს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შექმნა ზოგადად საქართველოს მოსახლეობისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან სარგებლის განცდას განაპირობებს.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეების არასოდეს უმოგზაურია ევროკავშირის ან შენგენის ქვეყნებში. მრავალჯერ მოგზაურობის გამოცდილება კი ძალიან მცირეს ნაწილს გააჩნია.

აღმოსავლეთის პარტნიორობა (EaP) საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხმარება ევროკავშირის პარტნიორებთან კავშირების გამყარებაში. საქართველო EaP-ის საერთაშორისო საკრედიტო მობილობის დიდი ბენეფიციარია, ქვეყანამ მისი ბიუჯეტის 25% მიიღო მხოლოდ 2015-2018 წლებში, ამ კონკრეტულნ პერიოდში ერასმუსის მობილობის (Erasmus Mobility) სტიპენდია მიენიჭა საქართველოს 3,613 მოქალაქეს, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სულ უფრო მეტად უახლოვდება საერთაშორისო კანონმდებლობას, აქვს განსაკუთრებული მიღწევები ამ მიმართულებით. ასოცირების შესახებ შეთანხმების, DCFTA-ს შემდეგ გაიზარდა ევროკავშირთან ვაჭრობა. თუმცა ქართული აგრარული და საკვები პროდუქტების ექსპორტში დიდი ცვილელებები არ შეიმჩნევა. ძირითადად ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ხშირად ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებს, განსაკუთრებით თაფლი. კვლავაც დგას საჭიროება, ამაღლდეს სპეციფიკური დარგობრივი ცოდნა და გაიზარდოს ინვესტიციები ამ სასოფლო-სამეურნეო სექტორში.

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა ისეთი ეფექტიანი არ არის, როგორც საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას მოლოდინები ჰქონდათ. იმისთვის, რომ ქართველმა ფერმერებმა DCFTA-სგან მეტი სარგებელი მიიღონ, ჯერ კიდევ ბევრი ნაქტიური ნაბიჯია გადასადგმელი. გამოწვევები, ევროკავშირისაკენ, საქართველოს გზაზე კვლავაც აქტუალურია.

ქვეყანაში ისევ მაღალია უმუშევრობა, სიღარიბის დონე. საქართველოს მთავრობამ კიდევ უფრო მეტად უნდა გაიაზროს ეკონომიკური პოლიტიკა, მისი შედეგები.

საჭიროა მეტი მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებითვის, რათა უზრუნველყოფილი იყვნენ ფინანსურ პროდუქტებზე გაიოლებული წვდომით.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის, სასამართლო რეფორმის, საჯარო მმართველობის მიმართულებით ევროკავშირი ყოველწლიურად 120 მილიონ ევროს გამოყოფს საქართველოსთვის, მოსახლეობის დიდი ნაწილი მოითხოვს დაინახოს ევროკავშირის მეტი ჩართულობა ჯანდაცვის, განათლებისა და უმუშევრობის მიმართულებით. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ რიგითმა მოქალაქეების ინფორმირებულობის დონე დაბალია ან მათ პირადად არ უსარგებლიათ აღნიშნული დახმარებებით. ასევე პრობლემა არის საქართველოს მთავრობის მიერ არაეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. მაგ. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის სამუშაო ძალის 52%-ს მოიცავს, თუმცა აღნიშნულ სფეროში დასაქმებულთა ძალიან დიდი ნაწილი კვლავ თვითდასაქმებულად ითვლება. სოფლის მეურნეობის სექტორი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სახელმწიფოს დღის წესრიგში, ევროკავშირი მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს ამ მიმართულებით, სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მეშვეობით, რომლის მთლიანი ბიუჯეტი, 2013-2022 წლებში 179,5 მილიონი ევროა. მიუხედავად ამისა, DCFTA უპირატესი ხელშეწყობა, რომ ქართულმა პროდუქტმა ბარიერებისა და შეზღუდვების გარეშე დაიპყროს ევროკავშირის 500 მილიონიანი მომხმარებლის ბაზარი, ჯერაც გამოუყენებელია.

საქართველომ უნდა იზრუნოს არა მხოლოდ ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებასა და ახალი ინსტიტუტების შექმნაზე, არამედ მიღებული კანონების სათანადოდ და ეფექტიანად განხორციელებაზე. მთავრობამ უნდა გაამახვილოს მეტი ყურადღება გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვის პროცესზე, განახორციელოს ხარჯებისა და სარგებელის დეტალური ანალიზი. AA / DCFTA-ს ვალდებულებების შესრულების პარალელურად საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზებული კანონები არ

უნდა დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე, მათ უნდა ჰქონდეთ ფუნქციური განხორციელების ეფექტიანი და ძლიერი მექანიზმი, დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგის ვადა 2020 წლის ბოლოს ამოიწურება, სავარაუდოდ, ორივე მხარე დაიწყებს მოლპრკებებს ახალ დოკუმენტზე. ევროკავშირმა აუცილებლად უნდა უზრუნველყოს, რომ ასოცირების ფარგლებში კონკრეტული და ეფეტიქნად გაზომვითი ინდიკატორები შემოიტანოს და მეტად მკაფიო ნიშნები დააწესოს.

2019 წლის 31 იანვარს ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდამჭერი პროექტის - „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა“ (Association Agreement Facility) დასკვნით ნაწილში განიხილესა აღნიშული პროექტის ძირითადი მიღწევები, მისი პრაქტიკულ მნიშვნელობა და ის სიკეთეები, რაც საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს მოაქვს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა განაგრძობს რეფორმების განხორციელებას, მეტიც, აქვს ამბიცია, გააკეთოს იმაზე მეტი, რასაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გვავალდებულებს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება საქართველოს მთავრობის ინიციატივაზე, როგორიცაა ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა. პროექტი მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუციების დახმარების კუთხითაც, ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიმრთულებით. პროექტმა მოიცვა საკანონმდებლო ჰამრონიზაცია, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის საკითხების კოორდინაცია, სტრატეგიული კომუნიკაციის კოორდინაცია. აღსანიშნავია, რომ მოცემული პროექტის ბიუჯეტი 2.3 მლნ. ევროა, რაც უმთავრესად საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას ხმარდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, განხორციელებული რეფორმების თანმხლები საფრთხების თავიან აცილებზე ზრუნვის ფაქტორი ხელისუფლების მხრიდან. ამის მაგალითად ნარომში განხილულია დეპოზიტების დაზღვევის საკითხში, დადებით ფაქტორებთან

ერთად მისი მორალური რისკის შემცველი ფაქტორები, როგორც ბანკების, ასევე მომხმარებლთა ქცევის კუთხით. კონკრეტულად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კომერციულ ბანკს უბიძგებს, აწარმოოს უფრო რისკიანი გარიგებები. მომხმარებელი კი სააგენტოს გარანტიების გათვალისწინებით, უპირატესობას ანიჭებს მაღალრისკიან, მაგრამ უფრო მაღალი საპროცენტო განკვეთის მქონე კომერციულ ბანკს. სახელმწიფომ უნდა განხორციელო ერთი მხრივ, ათანო და ეფექტიანი ზედამხედველობა ბანკებზე და მეტი ყურადღება მიაქციოს მოახლეობის ინფორმირებულობას, მათი სწორი და მიზანმიმართული ქცევითი უნარების და ქვეყნის მაღალ პასუხისმგებლიანი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგილაშვილი კ. - საქართველო და ევროკავშირი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე - თბილისი, 2017
2. "საზოგადოებრივი განწყობები საქართველოში, 2019 წლის აპრილის კვლევის შედეგი" არის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებული კვლევა. კვლევის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April_2019_Public… (გვერდი 7 და გვერდი 31)
3. ყოველწლიური კვლევის ანგარიში: საქართველო; მე-4 ტალღა (2019 წლის გაზაფხული) ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2019-07/EU…
4. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, სასამართლო სისტემისადმი ნდობა ჯერ კიდევ დაბალია. მოსახლეობის 53% თვლის, რომ სასამართლო სისტემა მმართველი პარტიის გავლენის ქვეშაა, ხოლო 50% თვლის, რომ სასამართლო სისტემა არ არის სამართლიანი. ანგარიში შეგიძლია იხილოთ ბმულზე https://www.transparity.ge/ge/post/majority-respondents-say-judges-hist…
5. თავისუფლება მსოფლიოში; Freedom House-ის ანგარიში საქართველოს შესახებ; ხელმისაწვდომია ბმულზე https://freedomhouse.org/report/freedom-world/2019/georgia
6. 2016 წელს ევროკავშირმა EU4Justice პროგრამის ფარგლებში 50 მილიონი ევრო გამოყო, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლო სისტემაში სტრატეგიული დაგეგმვის, მოსამართლეთა უნარების ამაღლების, მათი შერჩევისა და წახალისების მეთოდების გადახედვის, მენეჯმენტისა და საქმეთა განაწილების თანამედროვე ელექტრონული ინსტრუმენტების

შემუშავების, ეთიკური და დისციპლინური ინსტრუმენტების გაძლიერების, საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების და საკონსტიტუციო სასამართლოს გაძლიერების მიზნებს უნდა მოხმარებოდა; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე https://eeas.europa.eu/delegations/georgia/17499/three-major-projects-l…

7. ევროკომისია, "კომისიის პერსონალის სამუშაო დოკუმენტი", SWD (2018) 496, ბრიუსელი, 2018 წლის 19 დეკემბერი, გვ. 38, ხელმისაწვდომია ბმულზე https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/po…
8. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებული კვლევა "საზოგადოებრივი განწყობები საქართველოში, 2019 წლის აპრილის კვლევის შედეგები", ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.ndi.org/sites/default/files/NDI% 20Georgia_April_2019_Public_Issues% 20Poll_ENG_Final.pdf (გვერდი 24)
9. ევროკომისია, „Erasmus + Country Factsheet: Georgia", 2018, https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/res աղբյուր/document/country-factsheet-georgia_en
10. საქართველოს პლატფორმა, "Horizon2020", http://horizon2020.ge/
11. საქსტატის ოფიციალური მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://www.geostat.ge/ge/modules/categ/35/external-trade
12. აგრარული და სასურსათო პროდუქციით ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები; ევროკავშირი - საქართველო; ევროკომისიის სოფლის მეურნეობის და სასოფლო განვითარების დირექტორატი. ხელმისაწვდომია ბმულზე https://ec.europa.eu/agriculture/sites/agriculture/files/trade-analysis…
13. ევროპარლამენტის მიერ 15.10.2019 წელს შემუშავებული ანგარიში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების

თაობაზე; დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-8-2018-0320_EN.pdf?redir…

14. ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების ანგარიში საქართველოს შესახებ. დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019_association_implementation…
15. საქართველო 2018. ადამიანის უფლებების ანგარიში. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი. ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIG…
16. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ოფიციალური უმუშევრობა შემცირდა, 17.2%-დან (2012 წ.) 12.7%-მდე (2018 წ.). თუმცა, NDI-ს დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 59% თავს უმუშევრად მიიჩნევს. 2019 წლის აპრილის კვლევა, ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ ბმულზრ https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April_2019_Public…
17. ახალგაზრდების უმუშევრობა საქართველოში 30.4%-ა; მონაცემები ხელმისაწვდომია მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე: https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.1524.ZS?locations=GE. ევროკავშირში საბერძნეთი, ესპანეთი და იტალიაა, რომლებსაც ახალგაზრდების უმუშევრობის მხრივ საქართველოზე უარესი პოზიციები აქვთ (შესაბამისად 39.9%, 34.3% და 32.2%).
18. საქართველოს საიმიგრაციო პროფილი 2017 (გვერდი 31) ხელმისაწვდომია ბმულზე http://migration.commission.ge/files/migration_profile_2017_eng__final_.pdf
19. ევროსტატის მონაცემები. ხელმისწვდომია ბმულზე https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/9665546/3-14032019-AP-EN.pdf/eca81dc5-89c7-4a9d-97ad-444b6bd32790

20. მსოფლიო ბანკის სიღარიბის ხვედრითი წილის თანაფარდობა. ხელმისაწვდომია ბმულზე https://data.worldbank.org/topic/parity?locations=GE
21. ევროკავშირის აღმოსავლეთის სამეზობლო; წლიური გამოკითხვა 2019; ევროკავშირის საქმიანობის შესახებ გათვითცნობიერებულობა. საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2019-07/EU…
22. ENPARD დახმარების განხორციელება სამ ეტაპადაა დაყოფილი: (I ეტაპი - 52 მილიონი ევრო, 2014-2017; II ფაზა - 50 მილიონი ევრო, 2016-2019; III ფაზა - 77.5 მილიონი ევრო, 2018-2022).
23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://www.geostat.ge/en/modules/categor/23/gross-domestic-product-gdp
24. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა ბათუმის მე-16 საერთაშორისო კონფერენციაზე. 2019 წლის 11 ივლისი. ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.president.gov.ge/eng/pressamsakhuri/siakhleebi/saqartvelos-prezidentis-sityva-batumis-me-16-saert.aspx
25. "პოლონეთი გთავაზობთ აღმოსავლეთის პარტნიორობის თავისუფალ სავაჭრო ზონას"; ხელმისაწვდომია ბმულზე https://polandin.com/42627037/poland-proposes-eastern-partnership-freet…
26. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx
27. https://ge.boell.org/ka/2019/09/12/agmosavletis-partnioroba-shemdegi-ra-aris-sakartvelostvis
28. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო http://diagency.ge/ka

29. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020წწ. დღის წესრიგი https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%982017-20201.pdf